ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## სააკაშვილმა საქართველოს მთავრობას სტრასბურგში უჩივლა


გვ.2

ორშაბათი, 3 მაისი, 2021 №76 (8605) ფასი: 60 თეთრი

# „ქვეყანაში ორი ლიდერი ჩანს — მელია და გახარია“



გვ.3

კახა კუკავა: „ევროკავშირის მიერ გირაოს გადახდა მელიას ღირსებას არანაირად არ აკნინებს“

„წელს ვინც გახდება თბილისის მერი, 2024-ში ის იქნება პრემიერ-მინისტრი“



## „ბოიკოტმა თავისი საქმე გააკეთა“

„ნაცმოძრაობას სამადაშვილი ეჯდა მოლაპარაკებაზე და ქალს პირველივე დღიდან შესვლა ჰქონდა დაანონსებული“


გვ.3

თაკო ჩარკვიანი: „გამოქვეყნდება რეიტინგები და ნახავთ, რომ ხელმომწერი პარტიების რეიტინგი ქვემოთ არის ჩამოსული“



## „არ მჯერა, რომ გახარია ივანიშვილის პროექტია“

გვ.4

გედევან ფოფხაძე: „ოპოზიციიდანაც ძალიან ბევრს ჰქონდა კომუნიკაცია ივანიშვილთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვინმე ივანიშვილის თამაშს თამაშობს“


გვ.5

## ლიეტუვაში საქართველოს ელჩ ხათუნა სალუქვაძეს ვილნიუსის აეროპორტში იარაღი უპოვეს

ISSN 1987-9385

4 სამხედრო დათა ნაროუშვილმა ცოლის მეგობარი დავით ქობულაძე დუელში გამოიწვია

2



„დედა, მინდოდა, გულში ჩამეკარი, მაგრამ ზეცაში ხარ“ მეგი ბაქრაძეს შვილებმა წერილი მისწერეს

5 თბილისი-ზუგდიდის მატარებელი რელსებიდან გადავიდა

6 მსოფლიოში ვაქცინაცია დღეში 20 მილიონ ადამიანს უტარდება

## გია ვოლსკი: „თბილისის მერობის კანდიდატებს შორის კახა კალაძეც განიხილება“



– გიდასტურებთ, კახა კალაძის კანდიდატურაც განიხილება, მათ შორის.

ასე პასუხობს პარლამენტის პირველი ვიცესპიკერი გია ვოლსკი ჟურნალისტების კითხვას, რამდენად განიხილება კახა კალაძე თბილისის მმართველი გუნდის მერობის კანდიდატად.

ვოლსკის თქმით, ამ საკითხზე განცხადებები უახლოეს პერიოდში გაკეთდება, როცა გუნდი საბოლოოდ შეთანხმდება.

– უმრავლესობაში რასაკვირველია, მიდის მსჯელობა. გიდასტურებთ, განიხილება კახა კალაძის კანდიდატურაც მათ შორის. თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ ამ თემასთან დაკავშირებით ვრცელი კომენტარები და განცხადებები გვექნება უმოკლეს პერიოდში, როცა გუნდის ყველა წევრი იქნება შეთანხმებული, ავწონ-დავწონით სიტუაციას, შევაფასებთ შექმნილ ვითარებას, – განაცხადა ვოლსკიმ.

რაც შეეხება ოპოზიციის მერობის კანდიდატს და ამ საკითხზე გიორგი ვაშაძის პოზიციას, რომ ნიკა მელია გაერთიანებული ოპოზიციის მერობის კანდიდატი ვერ იქნება, ვოლსკი აცხადებს, რომ „ოდნავი განსხვავება მათ პოზიციებში არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ მათ კვლავ არ ექნებათ სურვილი გაერთიანდნენ თუნდაც ერთი კანდიდატის გარშემო“.

## „მივესალმები ნიკა მელიას გადაწყვეტილებას, ევროკავშირის მიერ დაფარული გირაოს გამოყენებით დატოვოს საპატიმრო“



პარლამენტის წევრი სალომე სამადაშვილი აცხადებს, რომ მიესალმება ნიკა მელიას გადაწყვეტილებას, ევროკავშირის მიერ დაფარული გირაოს გამოყენებით დატოვოს საპატიმრო.

მისივე შეფასებით, სწორი გადაწყვეტილება იქნება, თუ ნაციონალური მოძრაობა შეუერთდება შარლ მიშელის დოკუმენტს და პარლამენტში გააგრძელებს საქმიანობას.

– მივესალმები ნიკა მელიას გადაწყვეტილებას, ევროკავშირის მიერ დაფარული გირაოს გამოყენებით დატოვოს საპატიმრო. ევროკავშირის თანხმობა, დაფაროს გირაო, ყველაზე ნათელი დასტურია, რომ ის პოლიტიკური დევნის ინსტრუმენტად არის გამოყენებული.

ვწუხვარ, რომ აღდგომის დღესასწაულს ვერ გაატარებს საკუთარ ოჯახთან, თუმცა, იმედი მაქვს, მალე მისი საკნის კარებიც გაიღება. სწორი გადაწყვეტილება იქნება, თუ ნაციონალური მოძრაობა შეუერთდება მიშელის დოკუმენტს და პარლამენტში გააგრძელებს საქმიანობას, მათ შორის 20-21 ივნისის მოვლენების საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზნით. ხელისუფლებას და ოპოზიციას შორის აზრთა სხვადასხვაობაა ამნისტიის კანონის შინაარსის თაობაზე.

აღნიშნული კომისია, შესაძლოა, ის გამოსავალი იყოს, რომელიც ჩვენც და საზოგადოებასაც შესაძლებლობას მისცემს საფუძვლიანი მსჯელობა გამართოს კანონის მიღებამდე. ეს გადაწყვეტილება დაასრულებს შიდა ოპოზიციურ განხეთქილებასაც, რომელიც აზიანებს საერთო მიზნებს. მადლობა ჩვენს ევროპელ და ამერიკელ მეგობრებს, რომ ამ შეთანხმებით კიდევ ერთი შანსი მისცეს ქვეყანას, პოლიტიკური კრიზისიდან სწორედ იმ გზით გამოვიდეს, რომლითაც უნდა დადიოდეს ევროპული სახელმწიფო“, – დაწერა მან ფეისბუქში.

## განადგურებული ნათესები, დატბორილი სახლები და გზები

### ლაგოდეხში სტიქიის შედეგად მიყენებულ ზარალს ითვლიან

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სეტყვა და წვიმამ არა მხოლოდ ღია ნათესები, ვენახები და ხეხილის ბაღები, არამედ სათბურებში მოყვანილი მოსავალიც გაანადგურა, რადგან სეტყვის მსხვილ მარცვლებს გადახურულმა კონსტრუქციებმა ვერ გაუძლო. ზარალი თითოეულ შემთხვევაში ათობით ათასი ლარია.



გარდა იმისა, რომ მოსავალი სეტყვამ გაანადგურა, სურათი კიდევ უფრო მეტად დატბორვამ დაამძიმა. უხვი ნალექის გამო ადიდებულმა მდინარე კაბალმა კალაპოტი შეიცვალა და როგორც სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები, ასევე გზები, საცხოვრებელი სახლები და ეზოები დატბორა.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ეს მდინარე კაბალის კალაპოტიდან გადასვლის და დატბორვის პირველი შემთხვევა არ არის. წინა შემთხვევების მსგავსად, ახლაც ადგილზე მძიმე ტექნიკის მობილიზება მოხდა და ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდა. ოფიციალური პირები ირწმუნებიან, რომ ამ ეტაპზე საფრთხე მოხსნილია, თუმცა, განმეორდება თუ არა იგივე უფრო დიდი მასშტაბის სტიქიის შემთხვევაში, პროგნოზის გაკეთება უჭირთ.

მოსავლის განადგურებისა და დატბორვის გარდა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სტიქიამ საცხოვრებელი სახლებიც დააზიანა. სეტყვისგან დამტვრეული სახურავები პირველ ეტაპზე პოლიეთილენის ერთჯერადი ზედაპირით შეფუთეს. ახლო მომავალში საჭიროა მათი სრულფასოვანი რეაბილიტაცია.

ათობით დაზიანებული სახლი და დაახლოებით 10 000 ჰექტარი ტერიტორია, ვენახების, ერთწლოვანი კულტურების, ხეხილის ბაღების, სათბურების და საკარმიდამო ნაკვეთების ჩათვლით. ეს პირველადი აღწერის მაჩვენებლებია, რომელიც ბოლო 10 დღის განმავლობაში რამდენჯერმე მოსული სეტყვის, ძლიერი წვიმის და ქარის შედეგად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისთვის მიყენებულ ზარალს ასახავს.

## სააკაშვილმა საქართველოს მთავრობას სტრასბურში უჩივლა



ნაციონალური მოძრაობის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ – ევროსასამართლომ საქართველოს მესამე პრეზიდენტის სარჩელი წარმოებაში მიიღო.

სააკაშვილის ადვოკატის გიორგი ჩივიაშვილის განცხადებით, საუბარია სისხლის სამართლის ორ საქმეზე, ერთია ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტთან და მეორე – შეწყალების საქმესთან დაკავშირებული.

– ორივე საქმეზე მიმდინარეობს განხილვა, შესაბამისი კითხვები გადმოგზავნილია პროკურატურაში და შემდგომ ეტაპზე ჩვენ მოგვიწევს კონკრეტულ პოზიციებზე დაზუსტებული პასუხების გაგზავნა. მესამე პრეზიდენტის მიმართ საქართველოში, ეროვნული სასამართლოების დონეზე გამოტანილია არაობიექტური განაჩენი, ვინაიდან საქმეში არ არსებობს პირდაპირი მტკიცებულებები, არაჯეროვნად იყო საქმე შესწავლილი და დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, – განუცხადა „ტვ პირველს“ გიორგი ჩივიაშვილმა.

თავად მიხეილ სააკაშვილის შეფასებით კი ევროსასამართლოს კითხვები არის სრულიად არაორაზროვანი, ძალიან ნათელი და კონკრეტული.

–საერთოდ არ არის საჭირო სტრასბური იმისათვის, რაც იცის თითოეულმა ქართველმა, რომ ეს არის თავიდან ბოლომდე ივანიშვილის „კაპრიზებზე“ რუსეთის დაკვეთით შექმნილი ყალბი, ცრუ საქმეები, რომელსაც არაფერი კავშირი არა აქვს სამართალთან და სამართლიანობასთან.

საქართველოს არ სჭირდება ბატონი, საქართველოს სჭირდება პატრონი, ახლა არის ბატონის ქვეშ, ოღონდ უპატრონოდ.

მე მაქვს დაგეგმილი, რომ ძალიან აქტიურად ჩავერთო პროცესებში, რომელიც უკავშირდება შემოდგომის რეფერენდუმს და ამჯერად ნიკა მელიას ციხიდან დახსნას და სხვა რეპრესიების შეწყვეტას, – განუცხადა სააკაშვილმა „ტვ პირველს“.

## გიორგი ვაშაძე თბილისის მერად ნიკა მელიას კანდიდატურას მხარს არ დაუჭერს



„სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე ამბობს, რომ, დიდი ალბათობით, თბილისის მერის არჩევნებზე ნიკა მელიას მისი პოლიტიკური ძალის მხარდაჭერა არ ექნება.

ამის შესახებ ვაშაძემ ღამის კურიერში ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ თქვა, თუ ენმ-მ ნიკა მელია შესთავაზა გაერთიანებული ოპოზიციის მერობის კანდიდატად, დაუჭერს თუ არა მას მხარს.

– ის ვერ იქნება გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი, ის არის ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი. ამიტომ, დიდი ალბათობით, გადაწყვეტილად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ ვერ დავუჭერთ მხარს და მე შევეცდები, რომ სხვაგან ვეძიო კანდიდატები, რომლებიც საინტერესო იქნება თბილისისთვის. აქ პირდაპირ გეტყვით, რომ ჩემზე არაა საუბარი, ყველაზე ნაკლებად ჩემზე ვფიქრობ. მე უფრო მინდა ვითამაშო როლი, რომ გადავწიო ჩემი პერსონალური ამბიცია.

ხალხიც დაიღალა, 9 წლის მანძილზე ეს პოლარიზებული პროცესი არასწორია, მაგრამ მთავარია ახლა, რომ ნიკა მელია გამოვიდეს საპატიმროდან და ამის მერე უფრო მეტად გვექნება ამაზე ღიად საუბრის შესაძლებლობა. კაცი ციხეშია, პოლიტპატიმარია და არასწორია ამაზე დეტალებში შევიდეთ, – თქვა გიორგი ვაშაძემ.

## „დედა, მინდოდა, გულში ჩამეკარი, მაგრამ ზეცაში ხარ“

### მეგი ბაქრაძეს შვილებმა წერილი მისწერეს



„დედა ბოდიში, გუშინ რომ ვიტირე, იმიტომ რომ მომენატრე. მინდოდა, გულში ჩამეკარი, მაგრამ ზეცაში ხარ“ – ვაქცინის შედეგად გარდაცვლილ მედდას მეგი ბაქრაძეს შვილებმა წერილი დაუწერეს.

დედის გარეშე დარჩენილი მოზარდები წერილში საკუთარ ემოციებს გადმოსცემენ.

სალისა და საბას წერილი გარდაცვლილ დედას:

„დედა, ძალიან მომენატრე. მინდა, რომ ჩაგეხუტო, დედა. დედა, ბოდიში, გუშინ რომ ვიტირე, იმიტომ, რომ მომენატრე. დედა, მინდოდა, გულში ჩამეკარი, მაგრამ ზეცაში წახვედი. დედა, მიყვარხარ და მენატრები. შენმა მშობლებმაც იტირეს, დედა.

დედა, გუშინ საბა მთვრალი იყო. როლიკებით კინაღამ ცხვირ-პირი მოიმტვრია. შარვალი და ზედა ძლივს გავხადეთ.

დედა, შენ ბექას ძმასთან წახვედი და ბაბუასთან, იქ კარგად იქნები.

დედა, მომენატრე ძალიან. მიყვარხარ მაინც, ზეცაში წასული.

შენ სალი და საბა“

## „ბოლოს კამერებმა 16.00 საათზე ლევიტანასთან დააფიქსირეს“

### ახალქალაქში დაკარგული 3 ახალგაზრდა ჭაობში იპოვეს

ახალქალაქში, სოფელ კოთელიაში მცხოვრებლები სამ ახალგაზრდას 2 დღე ეძებდნენ. მათგან ორი ადგილობრივია, ერთი კი – თბილისელი.

ახლობლების განმარტებით, ისინი თბილისიდან დაბრუნებას მოკლე გზით, ტყეზე გავლით გეგმავდნენ, ბოლოს ახალგაზრდები თეძამის ხეობის შესასვლელში ნახეს.

– თბილისიდან მოდიოდნენ, ქარელთან გადაუხვიეს და თეძამის ხეობით წამოსულან, აქ სულ ტყის გზებია, ჯიპით არიან, ტელეფონები გამორთული აქვთ და ვერ ვუკავშირდებით, – ამბობს ერთ-ერთი ახალგაზრდას ახლობელი.

მისი თქმით, მომხდარის შესახებ სამაშველო სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 მაისს დაახლოებით 23:00 საათზე შეატყობინეს.

– ბოლოს 16:00 საათზე კამერებმა სოფელ ლევიტანასთან დააფიქსირეს, მას შემდეგ კვალი იკარგება, ისეთი ხეობაა, ტელეფონი არ იჭერს, გუშინვე უნდა დაბრუნებულიყვნენ, ამიტომ ვშიშობთ რაიმე პრობლემა ხომ არ შეექმნათ, – განაცხადა დაკარგულის ნათესავმა.

გუშინ, 1 მაისს, საღამოს, ორდღიანი ძებნის შემდეგ თეძამის ხეობაში სამივე ახალგაზრდა ადგილობრივებმა იპოვეს.

ისინი სოფელ ლევიტანას მიმდებარედ ჭაობში იყვნენ ჩაფლულები და ვერ ახერხებდნენ ამოსვლას.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქვეყანაში ორი ლიდერი ჩანს — მელია და გახარია“

## კახა კუკავა: „ევროკავშირის მიერ გირაოს გადახდა მელიას ღირსებას არანაირად არ აკნინებს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.**

***— ბატონო კახა, დღეს ძალიან რთულია ქვეყანაში როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ვითარება. ჩვენი პოლიტიკური სპექტრი კი კვლავაც იმაზე დავობს, ვინ შევა და ვინ არ შევა პარლამენტში. ნაციონალური მოძრაობა გაჯიუტდა. რამდენად სწორად იქცევა ის, როდესაც ჯიუტი ბავშვივით ფეხებს აბაკუნებს და არ შედის პარლამენტში?***

— მე ვფიქრობ, რომ არასწორად იქცევა და პარლამენტში შესვლაზე არ არის იმდენად საქმე. მხოლოდ პარლამენტში შესვლა არ არის პანაცეა. უბრალოდ, მე ვფიქრობ, ნაციონალურ მოძრაობას დიდი სტრესი აქვს გადატანილი და ის ვერ ყალიბდება, როგორც ხელისუფლების ალტერნატივა. აი, ეს არის მისი მთავარი პრობლემა. მეორე პრობლემა არის ის, რომ ეს არის ორთავიანი პარტია. სააკაშვილის პარტია და მელიას პარტია ორი სხვადასხვა ფენომენია. მე ვფიქრობ, ნიკა მელიას ციხიდან გამოსვლის შემდეგ ამ პარტიას საბოლოოდ მოუწევს ჩამოყალიბება, თუ რომელ გზას აირჩევს.

***— ანუ რომელი ლიდერი სჭირდებათ, მელია თუ სააკაშვილი?***

— დიახ და ამ ორ ლიდერს უკავშირდება ორი სხვადასხვა კონცეფცია. ერთია რევანში, სააკაშვილი რასაც განასახიერებს და მეორეა ის, რასაც მელია ცდილობს, მოხდეს ნაცმოძრაობის ტრანსფორმაცია და, პრინციპში, ამ ტრანსფორმაციის ფონზე, ამ პარტიიდან სახელისა და ნომრის გარდა, ძველი არაფერი რჩება. ეს არის ის გზა, რომელმაც ნიკას მოუტანა წარმატება ამ ბოლო არჩევნებში და იმავე კონცეფციით შესაძლებელია გამარჯვების მიღწევა მთელ საქართველოშიც. ეს არის დილემა, ოღონდ, ბუნებრივია, ნიკა ამას ციხიდან ვერ გადაწყვეტს. ამიტომ ყველა ველოდებით მის გათავისუფლებას.

***— ბევრს უკვე თავიც მოაბეზრა მელიას გაჯიუტებამ, მეტისმეტი მოსდისო. ამერიკის ელჩის მკვახე განცხადებაც მოვისმინეთ ამ საკითხზე.***

— მე არა მაქვს ნიკა მელიასთან პირდაპირი კომუნიკაცია. არ ვიცი, ვის აქვს მასთან კავშირი და საერთოდ ის ფლობს თუ არა გარეთ არსებულ ვითარებაზე სრულ ინფორმაციას. ფაქტია, რომ ნიკას სიხისტემ წარსულში ბევრჯერ მოიტანა პოზიტიური შედეგი, თუმცა ცნობილი ნათქვამია, საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო ანუ სიხისტე ყოველთვის არ ამართლებს. რაღაც სიტუაციაში, სადაც სიხისტე იყო საჭირო, ოპოზიციას ნამდვილად მოუტანა გამარჯვება, მაგრამ ახლა მე ვფიქრობ, არის დრო, როდესაც ჯობია მოქნილობა.

***— კომპრომისზე უნდა წავიდეს?***

— დიახ. მე რომ მასთან მქონდეს პირდაპირი კომუნიკაცია, ვეტყოდი ამას. არ ვიცი, თქვენს გაზეთს წაიკითხავს თუ არა, მაგრამ ვურჩევ, რომ ევროკავშირის მიერ გირაოს გადახდა არანაირად არ აკნინებს მის ღირსებას, პირიქით, ეს აკნინებს ხელისუფლების რეპუტაციას, იმიტომ რომ ყველა საერთაშორისო დოკუმენტში ჩაიწერება, რომ ევროკავშირს მოუწია ადამიანისთვის გირაოს გადახდა, ის რომ გათავისუფლებულიყო და ვერავინ ველარ იტყვის, რომ პოლიტპატიმრები არ ჰყავდა საქართველოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ ევროკავშირმა ვიღაც კრიმინალს გადაუხადა გირაო.

***— სააკაშვილთან გაჯიბრებაც ხომ არ ხდება ამ შემთხვევაში? სააკაშვილმა პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდა ნაციონალებს, მელიას კი სულ სხვა პოზიცია აქვს.***

— ნამდვილად არ მინდა სხვა პარტიის შიდა საქმეებში ასე ჩარევა. ყველას უნდა გვესმოდეს, რომ რაც არ უნდა დიდი დამსახურება ჰქონდეს ერთ ადამიანს ცალკეულ მომენტში, საქართველო და მისი სახელმწიფო ინტერესები უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნიკა მელია, გიორგი გახარია და ნებისმიერი სხვა. პირდაპირ ვიტყვი, ამ შემთხვევაში ქვეყანა არის ჩიხში, ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანას სჭირდება ძლიერი ცენტრისტული ძალა, ზომიერი ძალა ანუ ძალა, რომელიც იქნება მისაღები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისათვის, ფართო საზოგადოებისათვის და არა მხოლოდ ერთ სეგმენტისათვის. სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის განწირულია დამარცხებისთვის, იმიტომ რომ მას კი ჰყავს ბევრი მხარდამჭერი, მაგრამ — საზოგადოების მხოლოდ ერთ სეგმენტში და დანარჩენი დასანახად ვერ იტანს. ამიტომაც იმისთვის, რომ ხელისუფლება დამარცხდეს და ქვეყანამ განვითარება დაიწყოს, აუცილებელია ცენტრისტული ძალა, რომელიც ყველა სეგმენტში მონახავს გარკვეულ მხარდაჭერას.

***— ამ ეტაპზე იკვეთება ასეთი ლიდერი?***

— პირდაპირ გეტყვით, ამ პოზიციაზე ამ ეტაპზე გამოკვეთილია ორი კანდიდატურა, შესაძლოა, ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული, თუმცა ესენი არიან ნიკა მელია და გიორგი გახარია. თუმცა აქვე გეტყვით, რომ გარანტირებულად არც ერთს არ უდევს ეს ჯიბეში. წარსულში ყოფილა მაგალითები, როდესაც პოპულარულ პოლიტიკოსებს, „გაუმაზავთ“, ჟარგონზე რომ ვთქვათ, თავიანთი შანსი. ნიკასაც და გიორგისაც მინდა ვუთხრა, რომ ორივე აგვიანებს. თუ დააგვიანებენ, წმინდა ადგილი დიდხანს თავისუფალი არ რჩება. ამ ადგილს ვიღაც აუცილებლად დაიკავებს. საზოგადოებაში ამის მოთხოვნაა. ყველა ვხედავთ, რომ ქვეყანას აზის დრაკონი, სისხლს სწოვს ბიუჯეტსაც და ქვეყანასაც, ხელისუფლება არის შესაცვლელი, ოღონდ ამდენი კონფლიქტისა და პროცესისაგან დაღლილი ხალხი ელოდება სოლიდურ ლიდერს და არა ვიღაცა მარგინალს. აი, ამ სოლიდური ლიდერის ვაკანსიაზეა ეს ორი კანდიდატურა. შესაძლოა, ერთი თვის შემდეგ საერთოდ ორივე მოიხსნას დღის წესრიგიდან და სხვაზე იყოს ლაპარაკი. მე ამიტომაც ვგულშემატკივრობ ნიკას, თორემ სააკაშვილის კანდიდატურა არც განიხილება ამ პოზიციაზე.

***— გახარია ახსენეთ და რატომ აგვიანებს? სულ არის მოლოდინი, რომ ის გამოვა და პოლიტიკურ განცხადებას გააკეთებს, ისაუბრებს მის სამომავლო გეგმებზე, თუმცა რეალურად ვერ გავიგეთ, რას აპირებს. რას იტყვით თქვენ?***

— გეთანხმებით, ეს უკვე კითხვა კი არა, პასუხიც იყო. არ ვიცი, ვერაფერს ვერ გეტყვით, უბრალოდ, პოლიტიკურ პროცესებს თავისი ლოგიკა აქვს, რომელიც, შესაძლოა, ზოგიერთს უსამართლოდ ეჩვენოს. ამწუთას ასე გადაწყვიტა ქართველმა საზოგადოებამ, რომ მისგან ელოდება კონკრეტულ ნაბიჯს და არა ჩემგან ან ვიღაცა სხვისგან. მისგან ელოდება და ის ან გადადგამს ამ ნაბიჯს...

***— თუ არადა, ჩაივლის მისი მატარებელი?***

— კი, ასე იქნება. ისეც ნურავინ წარმოიდგენს, რომ პროცესში ის შეუცვლელია. შეუცვლელი არავინ არის, პროცესი გაგრძელდება. პოლიტიკურ ბაზარს აქვს იგივე პრინციპი, რაც ფინანსურ ბაზარს, რომ მოთხოვნა განაპირობებს მოწოდებას. მოთხოვნა არის და, შესაბამისად, აუცილებლად გაჩნდება ასეთი ლიდერი.

***— კახა, როდესაც გამორჩეულ ლიდერებზე საუბრობთ, კახა კალაძეზე მინდა გკითხოთ. ისიც არაერთხელ დაუხასიათებიათ, როგორც ქარიზმატული და გამორჩეული ლიდერი. რა გეგმები აქვს მას, მიდის „ოცნებიდან“ თუ იქნება ისევ „ოცნების“ კანდიდატი?***

— სხვათა შორის, ახლა რაზეც ვსაუბრობდი, ზუსტად იმის გაგრძელებაა, რაც თქვენ ბრძანეთ. ამწუთას კახი კალაძე არ განიხილება იმ რანგში, როგორშიც მელია და გახარია, თუმცა შეიძლება მან გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომ ორივე უკან მოიტოვოს. კი, საზოგადოება უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ივანიშვილის დანაშაულებზე, ვიდრე გახარიას, მიუხედავად იმისა, რომ გახარიას უფრო მაღალი პოსტი ეჭირა, თუმცა გახარიამ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რითიც რეჟიმის პოლიტიკას გაემიჯნა. კალაძეს ეს ნაბიჯი ჯერ არ გადაუდგამს. შეიძლება გადადგას. როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, რომ შანსი სრულად უნდა გამოიყენო, შესაძლოა, დღეს გვგონია, რომ გახარია უნდა იყოს ოპოზიციის ლიდერი ან მელია, მაგრამ რეალურად, შესაძლოა, კალაძემ გადადგას ეს ნაბიჯი.



**„წელს ვინც გახდება თბილისის მერი, 2024-ში ის იქნება პრემიერ-მინისტრი“**

***— ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ ადგილობრივ არჩევნებზე ამ ლიდერებს შორის იქნება პაექრობა?***

— ჯერჯერობით არ ჩანს, ვის შორის იქნება. ერთი, რაც ჩანს, არის ის, რომ ადგილობრივ არჩევნებზე უნდა გადაწყდეს ბევრი რამ. ეს ადგილობრივი არჩევნები პრაქტიკულად იქნება საპარლამენტო არჩევნების პირველი ტური. ვინც მოიგებს ახლა, 90%-იანი ალბათობით ის გახდება საქართველოს მომავალი პრემიერ-მინისტრი. წელს ვინც გახდება თბილისის მერი, 2024-ში ის იქნება პრემიერ-მინისტრი. ეს არის 99%-იანი ალბათობით. აი, ეს არის მთავარი და, პოლიტიკოსი თუ შორსმჭვრეტელია, სწორედ მთავარს უნდა დაუქვემდებაროს სხვა და არა პირიქით.

# „ბოიკოტმა თავისი საქმე გააკეთა“

## „ნაცმოძრაობას სამადაშვილი ეჯდა მოლაპარაკებაზე და ქალს პირველივე დღიდან შესვლა ჰქონდა დაანონსებული“

იაგო ნაცვლიშვილი

**მოვიდა თუ არა დრო, ოპოზიციის წარმომადგენლებმა ერთმანეთის მიმართ მწვავე კრიტიკული შეფასებებისგან თავი შეიკავონ? რა არის მისთვის ყველაზე მიუღებელი შარლ მიშელის დოკუმენტში? რატომ თვლის, რომ ვერც საარჩევნო და სასამართლო რეფორმა ვერ განხორციელდება დოკუმენტის შედეგად? რას ფიქრობს მისი ყოფილი პოლიტიკური პარტნიორის გიორგი ვაშაძის განცხადებაზე? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტია „კანონი და სამართლის“ ლიდერი თაკო ჩარკვიანი საუბრობს.**



**თაკო ჩარკვიანი: „გამოქვეყნდება რეიტინგები და ნახავთ, რომ ხელმომწერი პარტიების რეიტინგი ქვემოთ არის ჩამოსული“**

***— ოპოზიციაში არსებული მწვავე პოლემიკა დარეგულირდა თუ არა, რაც გააჩინა შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერამ და ხომ არ ფიქრობთ, რომ ამაზე უნდა გამოცხადდეს ოპოზიციაში მორატორიუმი, ვინაიდან ეს დაპირისპირება აწყობს მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილს?***

— გეთანხმებით, რომ ბიძინას აწყობს ოპოზიციის დაპირისპირება. აუცილებლად უნდა იყოს მორატორიუმი, მაგრამ არ უნდა იყოს კოლაბორაციონიზმი მათი შეცდომის გამო. შეცდომა მოხდა, ამას არ სჭირდება ჩაციკვლა არც ერთი მხრიდან, მაგრამ არც გამარჯვებად „მონათვლა“ სჭირდება. დოკუმენტს ვერ „მონათლავ“ გამარჯვებად, როდესაც ხელში გიჭირავს ამნისტიის ორი პროექტი და ჯერ კიდევ არგამოსული პოლიტპატიმარი. როგორც ხელისუფლებაში კეთდება განცხადებები, ამნისტიის შედეგად გათავისუფლდებიან ის ადამიანები, რომლებიც დამიზნებით ისროდნენ. ეს სამომავლოდ ძალიან ცუდია და პრაქტიკულად პოლიციელების დანაშაულის წახალისებაა.

***— ეს ყველაფერი გახარიას „გათეთრებასაც“ ხომ არ ემსახურება?***

— ნახეთ, როგორი ვითარებაა? საქმეში თუ ჩაიხედავს კვალიფიციური იურისტი, დაინახავს, რომ ამნისტიის შედეგად გამოყვანით პრაქტიკულად ბაზა ნადგურდება. შენ რომ ამნისტიას ყველას შეახებ, შემდეგ ძიების ბაზა საინტერესო აღარ ხდება. ამიტომ დამკვეთზე ველარ გადიხარ. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ეს ნამდვილად იყო შეცდომა, მაგრამ ახლა გამარჯვებად „მონათვლა“ მოინდომეს და არ გამოვა ეგ ამბავი.

***— მამუკა ხაზარაძემ თქვა, მაქსიმუმი გამოვიტანეთ, რისი გამოტანაც ამ ვითარებაში შეიძლებოდაო. არ არის ასე?***

— არა. ეს არის თავის მართლების რეჟიმი. მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ახლა ამაზე ჩაციკვლის დრო არ არის. მეორე მხრივ, ვერაფრით მივიღებ ამ დოკუმენტს გამარჯვებად. მოვიშველიებ დასავლელ პარტნიორებს. ნახეთ, კუბილიუსმა და თავად პრეზიდენტმა მიშელმაც თქვა, საქართველოს გადასაწყვეტია, ვის გამოუშვებთ გარეთ და ვის არაო.

***— კი, ესეც თქვა კუბილიუსმა და ისიც, ოპოზიცია უნდა იყოს პარლამენტში და არა ქუჩაში და იქ უნდა იყოს მწვავე დებატებიო.***

— კი ბატონო. ისეთი ვითარება იყო, რომ ოპოზიციას აუცილებლად მოუწევდა პარლამენტში შესვლა. ბოიკოტმა გააკეთა თავისი საქმე, ძალიან დიდი საქმე მოხდა დასავლეთის ჩართულობით, მაგრამ პლებისციტი კომპრომისი იყო ოპოზიციის მხრიდან, აბა, რა იყო! მაგრამ ოპოზიციის ნაწილმა, რომელმაც დოკუმენტს ხელი მოაწერა, ეს გააკეთა ნაციონალური მოძრაობის შიშით. მეცინება ხოლმე, როცა მეუბნებიან, მასთან გამიჯვნა უნდა მოხდესო. ამას ნაციონალური მოძრაობის გამო კი არ ვამბობ, ანალიზს ვაკეთებ. არ ვიყავით მასთან გამიჯნულები, როდესაც სხვა ბლოკი ვიყავით? როდესაც ყვირი, გავემიჯნოთო, ეს ნიშნავს, რომ შენ არ იყავი გამიჯნული? „ლელო“ არ იყო გამიჯნული? რად უნდა ამას ასე ხაზგასმა. გამიჯვნა ასე არ ხდება. გამიჯვნა ხდება ისე, რომ ამომრჩეველმა დაგინახოს, შენ ხარ პატიოსანი, ცალკე მდგომი ძალა. თუ ეს ვერ დაინახა ამომრჩეველმა, ვერასდროს გაემიჯნები და ყოველთვის იქნები ის, რისიც გეშინია. იქნები მუდამ ერთი მსხვილი ოპოზიციური პარტიის ჩრდილში.

***— გიორგი ვაშაძე სულ ორი კვირის წინ თქვენი პარტნიორი იყო და ბლოკში იყავით. ახლა კი მან განაცხადა, რომ ნაცმოძრაობის მერობის კანდიდატისთვის მხარდაჭერა მერობის არჩევნებზე მარცხის ფორმულაა და, სავარაუდოდ, ეს კანდიდატი იქნება მელია. როგორ გაიგეთ ეს განცხადება თქვენ პირადად?***

— არ მინდა, გიორგიზე ვაკეთო განცხადებები, მეუხერხულება. მე ვიტყოდი ასე, რომ როდესაც კოლეგა ოპოზიციონერი არის ციხეში, ასეთი განცხადებებისგან ყველამ თავი უნდა შეიკავოს. რომ გამოვა, მერე შეგიძლია გააკეთო ის განცხადება, რომელიც მიზანშეწონილად მიგაჩნია. ასეთი კომპლექსებითა და შიშებით არაფერი გამოვა. რატომ ვლაპარაკობ ასე თამამად ნაციონალურ მოძრაობაზე? მე ვიყავი მის ოპოზიციაში და იმ დროს არსებულ სამართლებრივ საქმეებზე ქუჩაში ვიდექი. მე ვიყავი მისი მწვავე ოპონენტი. ესენი ყველანი კი ვერ გამოვიდნენ კომპლექსიდან. ეს შეცდომაც მაგიტომ მოუვიდათ. იმას კი ვერ მიხვდნენ, რომ მათი რეიტინგი ქვემოთ მიდის. გამოქვეყნდება რეიტინგები და ნახავთ, რომ ხელმომწერი პარტიების რეიტინგი ქვემოთ არის ჩამოსული.

***— პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ სხვადასხვა დროს თქვენ ვისაც უპირისპირდებოდით, ზუსტად ის ადამიანები აღმოჩნდით ერთ პოზიციაზე. მაგალითად, თქვენ, სააკაშვილი, ბოკერია, ბურჯანაძე და სხვები ერთ პოზიციაზე ხართ. ეს როგორ გავიგოთ?***

— სხვები კი, მაგრამ ბურჯანაძე — არა. ამაში ვერ დაგეთანხმებით. კი, ახლა მისი განცხადება ასეთია, მაგრამ გვახსოვს მისი განცხადებები წარსულში. ბურჯანაძე უპირისპირდება პროცესს ვადამდელი არჩევნების და არა სხვა რამის გამო.

სააკაშვილის თემას რაც შეეხება, მე ვებრძოდი დანაშაულებრივ სისტემას, რომელიც ამათაც გადაიბარეს, „ქართულმა ოცნებამ“. აბა, სახელმწიფო ინსტიტუტების შენება სააკაშვილმა რომ გააკეთა, ეგეთი უნდა. მე ჯაჭვში ვიდექი აგვისტოს ომის დროს, რომელიც სააკაშვილმა გააკეთა. როდესაც ამბობდნენ, საქართველომ ომი დაიწყოო, სულ ვამბობდი, მიშას ჯინაზე ნუ აბრალებთ საქართველოს ომის დაწყებას-მეთქი. ამიტომ არ არის პარადოქსული, დღეს რომ ერთ აზრზე ვართ. ჩვენ გვინდოდა სისტემის შეცვლა და რა გამოვიდა? დაანგრიეს სახელმწიფო ინსტიტუციები და სისტემა შეცვალეს. სახელმწიფო კლანიაო, სენატში გვეუბნებიან. მიშელის დოკუმენტზე საუბარია ვადამდელი არჩევნების ჩატარებაზე. მეტი დადებითი ამ დოკუმენტს არ აქვს.

***— რატომ? იქ საუბარია საარჩევნო სისტემისა და სასამართლო სისტემის რეფორმებზე.***

გაგრძელება მე-4 გვერდზე



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# „არ მჯერა, რომ გახარია ივანიშვილის პროექტია“

## გედევან ფოფხაძე: „ოპოზიციიდანაც ძალიან ბევრს ჰქონდა კომუნიკაცია ივანიშვილთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვინმე ივანიშვილის თამაშს თამაშობს“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო გედევან, რამდენად შეძლებს ოპოზიცია თვითმმართველობის არჩევნებზე ერთიან კანდიდატებზე შეთანხმებას?***

– თუ ოპოზიციური სპექტრი ამ ადგილობრივ არჩევნებს შეხედავს, როგორც საქართველოს მომავლის გასაყარს, მაშინ შეიძლება სულ სხვა პროცესი დაიწყოს. თუ პარტიული ინტერესი წინა პლანზე წამოვა, მაშინ საპროტესტო ხმებზე იქნება კონკურენცია, ერთმანეთს დაძირავენ და „ოცნება“ თავისას გაიტანს. თუ ოპოზიცია ერთიანი ფრონტით გამოვა, მაშინ „ქართული ოცნება“ შეიძლება სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდეს.

მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ ადგილობრივ არჩევნებზე „ქართული ოცნების“ სატელიტმა პარტიებმა კენჭი არ იყარონ და 43%-იან ზღვრის გადალახვაში ხელი არ შეუშალონ.

ასევე ვთვლი, რომ უნდა გაკეთდეს არჩევნების რეალური მონიტორინგის ცენტრი. ადგილობრივ არჩევნებზე შვიდი ათასი საარჩევნო უბანია. მითხრან ერთი უბანი, შევალ და დავიცავ იმ უბანს, რომ არ გაყალბდეს არჩევნები, რათა არ იყოს შემდეგში შედეგებით მანიპულირება.

***– ეცდება „ქართული ოცნება“, რომ 43%-ს გასცდეს?***

– რა თქმა უნდა! თან, მათ არ აწყობთ, რომ, მაგალითად, 45% დააფიქსირონ. „ქართული ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს, რომ 50% მაინც დააფიქსიროს, რათა გაყალბების ეჭვი მოსპოს. თუ 44% დაფიქსირდება, მაშინ, ხომ წარმოგიდგენიათ, ამას რა მოჰყვება! 20 ათას ხმაზე იქნება საუბარი. არ არსებობს ხელისუფლება, რომელიც 20 ათას ხმას არ მოჰპარავს. ერთპროცენტიანი ცდომილების შემთხვევაში არავინ დაიჯერებს, რომ არჩევნები არ გაყალბდა. ამიტომ, თუ უნდათ, ქუჩის პროტესტის პრობლემა მოიხსნას, შედეგი 50-%-ს უნდა მიუახლოონ.

***– რა დისონანსს შეიტანს გიორგი გახარიას გამოჩენა ამ პროცესში? ცნობილია, რომ ის ამ თვეში აპირებს პარტიის პრეზენტაციას.***

– არსებითად არაფერს შეიტანს. ისე, მე მივესალმები გიორგი გახარიას, თუ ის თავისი პარტიით გამოვა ამ არჩევნებზე. ძალიან ბევრი ადამიანი ვიცი, ვინც „ოცნებას“ ხმა მხოლოდ გახარიას ხათრით მისცა. ეს ხალხი, ცხადია, ახლა პირდაპირ გახარიასკენ წავა და არა „ოცნებისკენ“.

***– ეს ხომ „ოცნების“ ხმებს დაფანტავს.***

– ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქისთვის, პრინციპული არ არის, ოპოზიციიდან რომელი პარტია რამდენ ხმას აიღებს. ჩემთვის პრინციპულია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არ აიღოს 43%.

თუ გახარია ადგილობრივ არჩევნებში არ მიიღებს მონაწილეობას, მაშინ არავინ დაიჯერებს, რომ ის ივანიშვილის პროექტი არ არის. მე, პირადად, მჯერა, რომ არ არის.

***– გამოდის, შეიძლება, გახარიამ მავრის როლი შეასრულოს? უნდა თუ არა, ოპოზიციურ ფლანგზე იმუშაოს?***

– გახარია ოპოზიციაა, უნდა თუ არ უნდა. თუ ამბობ, რომ არ ეთანხმები მმართველ გუნდს და მიდიხარ, ოპოზიცია ხარ. რა მოლაპარაკებებიც არ უნდა ჰქონდეს მას ივანიშვილთან, მე არ მჯერა, რომ ის ივანიშვილის პროექტია. გიორგი გახარია გადმოვიდა ოპოზიციაში და ის ეცდება ოპოზიციური ნიშის დაკავებას. რასაკვირველია, ცოტა განსხვავებული იქნება არსებული ოპოზიციისგან.

***– თუმცა მას ამის დამტკიცება მოუწევს.***

– მე მაინც ვთვლი, რომ მისი ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობა განსაზღვრავს, არის თუ არა ის რეალურად ოპოზიციური სპექტრის ნაწილი, ოპოზიცია. თუ ამ არჩევნებში არ მიიღებს მონაწილეობას და ხელს არ შეუშლის „ქართულ ოცნებას“ 43%-ის მოგროვებაში, მაშინ ცხადი იქნება, რომ ის ოპოზიცია არ არის. ფორმალურადაც ამოვარდება ოპოზიციური სივრციდან. თან გახარიას ინტერესში უნდა იყოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. კაცი პრემიერობიდან ოპოზიციაში რომ მიდიხარ, საკრებულოში ექვსი კაცის გაყვანა არ უნდა გაწყობდეს, თუ რეალურად აპირებ პოლიტიკაში დარჩენას. ამიტომ ყველაფერი უნდა გააკეთოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოსაპოვებლად. მან უნდა შეასრულოს ოპოზიციური ფუნქცია და „ოცნებას“ 43% არ აალებინოს.

***– უშვებთ შესაძლებლობას, რომ ივანიშვილის მიზანიც ეს არის, გახარია დაუპირისპირდეს ქართულ ოცნებას“, რათა 43% ვერ აიღოს და ვადამდელ არჩევნებზე მოვიდეს გახარია და არა ოპოზიციური კოალიცია?***

– ეს ვერსია მოსმენილი მაქვს, მაგრამ არ ვიზიარებ. გახარიამ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალობა გამოაჩინა. გადადგომის შემდეგ თუ რაიმე ურთიერთობა, კომუნიკაცია ჰქონდა ბიძინა ივანიშვილთან, სრულიად შესაძლებელია, ოპოზიციიდანაც ძალიან ბევრს ჰქონდა ასეთი კომუნიკაცია ივანიშვილთან, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ვინმე ივანიშვილის თამაშს თამაშობს?! მე გარიგებას გამოვრიცხავ. რატომ გამოვრიცხოთ, რომ არ უნდა, იმ კომკავშირის ნაწილი იყოს, რომლებმაც აიძულეს, გადამდგარიყო? ამ ხალხთან საერთო ენა ვერ გამონახა. მეც ვერ გამოვნახე თავის დროზე.

---

დასაწყისი მე-3 გვერდზე

# „ბოიკოტმა თავისი საქმე გააკეთა“

– მანდეთ მიმყავს საუბარი. როგორ უნდა შეიცვალოს საარჩევნო სისტემა, თუკი სასამართლოში კლანია, როგორც ეს სენატში გვითხრეს?! ნაზი ჯანეზაშვილმა იკითხა, მურუსიძე და ჩინჩალაძე თუ რჩებიან 20-30 წლით, მაშინ როგორ ცვლით სასამართლო კლანსო. თუ გენერალურ პროკურორს ხელს ვერ ჰკიდებ ხუთი წელი, შარშან აირჩიეს შოთაძე და ხუთი წელი აქვს ვადა უფლებამოსილების ამოწურვამდე. მაშინ, მითხარით, როგორ ვცვლით სასამართლო სისტემას, თუკი კლანი და პროკურორი რჩება და, თუ სასამართლო სისტემას ვერ ვცვლით, საარჩევნო სისტემას როგორ ვცვლით?! ამიტომ ვამბობ, რომ დახარვეზებულ დოკუმენტს კი არ უნდა მოაწერო ხელი, არამედ მეტი უნდა წამოიღო შენი ქვეყნისთვის.

***– რატომ დადო ასეთი ხარვეზიანი დოკუმენტი ევროკავშირმა?***

– ვინ გითხრათ, რომ ევროკავშირმა დადო?! როდის იყო, რომ მედიატორი ქმნიდა დოკუმენტებს?! სისულელეა ეს. მედიაცია ჩატარდა ბრწყინვალედ. პროგრამა მინიმუმი შესრულდა, არ უნდა ყოფილიყო ერთპარტიული პარლამენტი. მისი მიზანი იყო, მოერიგებინა ორი მხარე და შეეყვანა ორივე მხარე. დოკუმენტი იქმნება იქ მსხდომი მხარეების პრეტენზიებიდან გამომდინარე. შენ რითიც დაკმაყოფილდი, ისეთი დოკუმენტი მოგართვა. თქვენ გგონიათ, ჩვენ რომ გვეთქვა, არ დავუშვებთ ამნისტიას მათზე, ვისაც აღიარებითი ჩვენებები აქვს მიცემულიო, დასავლეთი გვეტყოდა, აუცილებლად უნდა დასთანხმდეთო?! ზედმეტად იპრანჭებოდნენ, დასავლეთს სასწრაფოდ მოვაწონოთ თავი, რომ მომავალ არჩევნებში არ გადაგვფაროს საკაშვილმაო.

***– სააკაშვილის კომპლექსი იყო?***

– აუცილებლად. ეს იყო მთავარი მიზეზი, რატომაც მოაწერეს დროზე ადრე ხელი.

***– რატომ მოაწერა ხელი გრიგოლ ვაშაძემ, რომელიც წასული იყო პოლიტიკიდან ეს თვეები?***

– მას თავიდანვე ჰქონდა დაანონსებული, ისევე, როგორც სამადაშვილს. ყველამ ვიცოდით. მოლაპარაკებებზე ნაცმოძრაობის მხრიდან იჯდა სამადაშვილი და წარმოიდგინეთ, ქალს პირველივე დღიდან შესვლა ჰქონდა დაანონსებული. სხვებისგან განსხვავებით, მათ არ უწვალიათ და პირდაპირ თქვეს.

***– თქვენ გრიგოლ ვაშაძის მიმართ განსაკუთრებული დადებითი ემოცია გქონდათ და, როდესაც მან ხელი მოაწერა, როგორი იყო თქვენი რეაქცია?***

– არაფერი. თავიდანვე ვინც თქვა, შესვლა გვინდაო, რა პრეტენზია უნდა გვქონდეს?! თქვეს და მორჩა. პრეტენზია ნაციონალურ მოძრაობას უნდა ჰქონდეს და არა მე.

***– იმიტომ გეკითხებით, რომ ვაშაძეების ძალიან დიდი მხარდამჭერი იყავით. ჯერ გრიგოლ ვაშაძეს უჭერდით მხარს და გინდოდათ მისი პრეზიდენტობა, შემდეგ გიორგი ვაშაძის პრემიერობა გსურდათ. ერთხელ ვიხუმრე კიდეც თქვენთან ინტერვიუს დროს, რა ვალი გაქვთ ვაშაძეების-მეთქი.***

– კი, რა თქმა უნდა. მე ვიყავი მხარდამჭერი „ძალა ერთობაშიაში“ ყოფნის დროს. არჩევანი იყო გრიგოლ ვაშაძე და სალომე ზურაბიშვილი. არჩევანი იყო გრიგოლ ვაშაძე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიული დამოუკიდებლობისთვის დიდებული საქმე აქვს გაკეთებული, პირდაპირი მნიშვნელობით დოკუმენტი დადო მაგიდაზე. მეორე მხარეს იყო სალომე ზურაბიშვილი, რომელსაც განცხადება ჰქონდა გაკეთებული, რომ ომი საქართველომ დაიწყო.

***– საბოლოოდ გამოვიდა, რომ ორივე ვაშაძემ გაგიცრუათ იმედი.***

– პოლიტიკაში ორივე გავიცანი „ძალა ერთობაშიას“ პერიოდში. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა შტაბის ხელმძღვანელმა გიორგი ვაშაძემაც.

ახლა რაც მოხდა, მე მგონია, რომ ყველა ეს პარტია, რომლებიც შევიდნენ პარლამენტში, ვერ გამოვიდნენ ამ კომპლექსიდან. ამას ცინიზმით არ ვამბობ, რეალობაა.

***– ცალკეული პერსონებიც, რომლებიც პერსონალურად შევიდნენ პარტიის მიღმა?***

– კი, უთუოდ ვერ გამოვიდნენ. კომპლექსი, რომელიც არსებობს, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. ეს ყოველთვის შეუშლის მათ ხელს. უნდა იყო მყარი და ინდივიდუალური. ძალიან სწრაფად იმოქმედეს და რატომ გაიხადეს თავი ალეკო ელისაშვილისა და ხვიჩია-მეგრელიშვილის დასაცინად?! კომპრომისი გასაგებია, მაგრამ შენ ვინ მოგცა უფლება, გავრილოვის ღამის შედეგად დასახიჩრებული ხალხის მაგივრად რომ მიდიხარ კომპრომისზე?! ამნისტიის ეს სავალალო პუნქტი რომ არ ყოფილიყო, კიდევ არ მექნებოდა ასეთი რეაქცია.

---

# სამხედრო დათა ნაროშვილმა ცოლის მეგობარი დავით ქობულაძე დუელში გამოიწვია

დუელი 21-ე საუკუნეში – ქუთაისში კაცმა ცოლის მეგობარი დუელში გამოიწვია: შესთავაზა სურამის ტყეში წასვლა, იარაღის შერჩევა და შემდეგ ჩვენგან მხოლოდ ერთ-ერთი უნდა დაბრუნდეს ცოცხალიო.

ამ შეთავაზებას წინ უძღოდა მესიჯები და ზარები სიცოცხლის მოსპობის მუქარით და ა.შ.

მუქარებისა და დუელის იდეის ავტორი, საბოლოოდ, დააკავეს, მაგრამ სასამართლომ ჩათვალა, რომ მისგან დიდი საფრთხე არ მოდიოდა და ის დარბაზიდან 2.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

ეს მამაკაცი ყოფილი სამხედრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეოთხე ქვეითი ბრიგადის უმცროსი სერჟანტი დათა ნაროშვილია.

დაზარალებული დავით ქობულაძე ამბობს, რომ დათა ნაროშვილის გირაოთი გამოშვების შემდეგ, მუქარის შემცველი შეტყობინებები კიდევ მიიღო, თუმცა ამჯერად ამ წერილების ავტორი ანონიმი იყო.

მას არსებულ ვითარებაში ერთადერთ გამოსავლად ქვეყნიდან გადახვეწა მიაჩნია, რადგან ფიქრობს, რომ სახელმწიფოს ძალოვანმა სტრუქტურებმა მისთვის



მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ვერაფერი გააკეთეს.

მუქარის ფაქტზე აღძრული ამ სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გაიმართება. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში მაქსიმალური სასჯელი, რაც პირს ამ ქმედების გამო შეიძლება შეეფარდოს, 1 წლით თავისუფლების აღკვეთაა.

---

# ვაჟა-ფშაველაზე პოეტი მიშო დადიანი დაჭრეს



ვაჟა-ფშაველაზე 32 წლის მამაკაცი, მიშო დადიანი დაჭრეს.

პოეტს ცივი იარაღით მიყენებული მრავლობითი ჭრილობები აღენიშნება.

დაჭრას წინ დაპირისპირება უძღოდა. მიშო დადიანს სასწრაფო ოპერაცია 1 მაისს ჩაუტარდა.

მიშო დადიანი „კავკასიის მედიცინის ცენტრშია“ მოთავსებული. შინაგანი მედიცინის განყოფილების უფროსის თქმით, 32 წლის პოეტის მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურია და მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

– ამ ეტაპზე ჰერმოდინამიკულად სტაბილურია. ვენა იყო დაზიანებული მარჯვენა ზემო კიდურზე და აღდგა მისი მთლიანობა, მიმდებარედ ნერვული ქსოვილი – ყველაფერი გაიკერა. ამ ეტაპზე მკურნალობას განაგრძობს ზოგადი ქირურგიის განყოფილებაში. ზოგადი მდგომარეობა სტაბილურია, ცხელება არ აქვს, – თქვა ქეთევან ზურაბიშვილმა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

---

# შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1051 ფაქტი გამოავლინა



სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1051 ფაქტი გამოვლინდა. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 798 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 158 ფაქტი გამოვლინდა. გარდა ამისა, პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის (კარანტინის წესის დარღვევა), შესაბამისად 95 პირი დააჯარიმა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ. სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას. იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# „რეალური მკვლელი ტყიბულის პოლიციის მაღალჩინოსანია“

## ზაზა ჩაფიძე ზაურ სოფრომაძის მკვლელობაში გაამართლეს

ტყიბულში მომხდარი მკვლელობის საქმეზე დაკავებული მამაკაცი თავისუფალია.

ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტით, ზაზა ჩაფიძეს ზაურ სოფრომაძე არ მოუკლავს, არადა, შსს-მ რამდენიმე თვის წინ საქმე გახსნილად გამოაცხადა.

მკვლელობა 2020 წლის 8 აგვისტოს მოხდა. ზაურ სოფრომაძეს ტყიბულის შესასვლელში იმ დროს ესროლეს, როდესაც საკუთარი ავტომობილით გადაადგილდებოდა. მას რამდენიმე ტყვია აქვს მოხვედრილი.

26 თებერვალს ზაზა ჩაფიძემ საპყრობილეში პროტესტის ნიშნად თვითდაზიანებებიც მიიყენა.

ჩაფიძის ოჯახის წევრები დარწმუნებული არიან, რომ ტყიბულში დანაშაული პოლიციის მაღალჩინოსნებმა ჩაიდინეს.

– რეალური მკვლელი დღეს დადის ქუჩაში და ტყიბულის პოლიციის მაღალჩინოსანია, – ამბობს გამართლებული ზაზა ჩაფიძის მეუღლე.

განაჩენი ზაურ სოფრომაძის დამ გააპროტესტა.

მისი თქმით, მისი ძმა შეკვეთილი მკვლელობის მსხვერპლი გახდა, ჩაფიძე კი მკვლელობის უშუალო შემსრულებელია.

– მეტი არავინ დამრჩა, ჩემი ძმის მკვლელს ჩემი ხელით მოვკლავ, – აცხადებს მოკლულის და.

საქმის განხილვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 9 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

# ლიეტუვაში საქართველოს ელჩ ხათუნა სალუქვაძეს ვილნიუსის აეროპორტში იარაღი უპოვეს



„მთავარი არხისთვის“ ცნობილი გახდა უპრეცედენტო დიპლომატიური სკანდალის შესახებ. ირკვევა, რომ 2 წლის წინ, როცა ლიეტუვაში საქართველოს ელჩი თავის მისიას ასრულებდა და ვილნიუსიდან კიევში მიემგზავრებოდა, ის პირდაპირ აეროპორტში გააჩერეს და დასაკითხად გადაიყვანეს. მიზეზი კი ელჩის ბარგში აღმოჩენილი 2 ცეცხლსასროლი იარაღი გახდა.

შედგა ოქმი, რომლის მიხედვით, ელჩის მიმართ 2 ბრალდება გამოითქვა – იარაღის და საბრძოლო მასალის შენახვა და კონტრაბანდის მცდელობა.

2019 წლის 9 აპრილს ვილნიუსი-კიევის რეისის მგზავრებს შორის იყო ლიეტუვაში საქართველოს ელჩი ხათუნა სალუქვაძე. ბარგის შემოწმებისას, ავიაციის უსაფრთხოების პოსტის თანამშრომლებმა ელჩისა და მისი მეუღლის ჩანთიდან 2 ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. ქართველი დიპლომატის წინააღმდეგ სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო.

ხათუნა სალუქვაძე ლიეტუვაში დიპლომატიური მისიის დასრულების შემდეგ ოჯახთან ერთად საქართველოში იმყოფება.

„შაბათის მთავარი“ დიპლომატს 3 დღის განმავლობაში ეძებდა, მიაკითხა დეკლარაციაში ასახულ საცხოვრებელ მისამართზე, მისწერა მოკლე ტექსტური შეტყობინება. საბოლოოდ, ყოფილმა ელჩმა ინტერვიუზე უარი თქვა.

დიპლომატიური მისიის დროს ხათუნა სალუქვაძეს ლიეტუვას სასამართლომ ბინის ქირის დავალიანების გადახდა დააკისრა. დიპლომატს ბინის მეპატრონემ უჩივლა, რადგან სალუქვაძემ კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ ბინა არ დაცალა და კიდევ რამდენიმე თვე ცხოვრობდა.

ელჩი პირადი მიზნებისთვის ბიუჯეტიდან ფულსაც ითხოვდა.

# „ქეთი ჩხაიძემ თავისი ქმრის მეგობართან დაამყარა კავშირი და მას დაუძახა ნოდარის გასატანად“



ხათუნა რაზმაძე

კასპში მოკლული ნოდარ ღუნაშვილის დედამ, ხათუნა რაზმაძემ, ტვ პირველთან ისაუბრა.

– მკვლელობის ღამეს ოჯახში იყო ცოლი, ქმარი და 2 მცირეწლოვანი ბავშვი, ღამის სამიდან ექვსი საათია, ამ დროს ოჯახში შედის უცხო მამაკაცი, კლავს მამაკაცს, მიჰყავს ქუჩაში და აგდებს. შეიძლება ეს დაიჯეროს ვინმემ?

ამიტომ შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ეს მოხდა ცოლიდან გამომდინარე, ცოლმა დაარტყა და მერე ალბათ თავიდან მოშორების მიზნით გაიტანეს და გადააგდეს.

პირველი დარტყმა ბლაგვი საგნით მოხდა ცოლისგან, მერე მოხდა დანარჩენი, რაც მოხდა, დაუძახა მერე იმ ბიჭს და მოიყვანა სახლში, თუ მანამდე ჰყავდა სახლში დამწყვდეული და მერე გამოვიდა, ეგ არ ვიცი, – განაცხადა ხათუნა რაზმაძემ.

მისი თქმით, მის რძალს, ქეთი ჩხაიძეს და მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ ზურაბ კახიშვილს შორის ახლო ურთიერთობა იყო.

– თავისი ქმრის მეგობართან, 24 საათი რომ ერთად იყვნენ, ერთად რომ ჭამდნენ საჭმელს, იმ ბიჭთან დაამყარა, რა ვიცი, როგორც თვითონ ამბობს, სექსუალური ურთიერთობა თუ მეგობრული ურთიერთობა, რა იყო, არ ვიცი, უკვე ველარ ვიგებ, დავიბენი, უკვე იმდენი სიბინძურე ვნახე, – უთხრა ხათუნა რაზმაძემ ტვ პირველს.

# ზუგდიდთან პოლიციელებმა მამა-შვილი, ბადრი და პაპუნა ძანძავები დაჭრეს



ზუგდიდის სოფელ ახალაბასთუმანში, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ, 30 აპრილს მამა-შვილი დაჭრეს. გასროლა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა განახორციელეს.

მამა-შვილ ძანძავებს პოლიციამ ცეცხლი იმ დროს გაუხსნა, როცა მათ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, მდინარე ენგურის გავლით, კონტრაბანდული სიგარეტი გადმოჰქონდათ.

პაპუნა ძანძავა 19 წლისაა, მას ტყვია ზურგში აქვს მოხვედრილი, ხოლო მამას, ბადრი ძანძავას ფეხში. დაჭრილებს თავად იარაღი არ ჰქონდათ.

დაჭრილები კომპაქტურ დასახლებაში ცხოვრობენ, მათი სახლიდან საოკუპაციო ხაზამდე დაახლოებით 700 მეტრია.

– გამოძიება მიმდინარეობს. განსხვავებაა კრიმინალსა და კონტრაბანდას შორის. კარგი, იყო კონტრაბანდისტი, კრიმინალივით რატომ ექცევი? ორი ყუთი სიგარეტი ჰქონდათ, ვამბობ ამას. არ გვაქვს საშუალება. ვართ მრავალშვილიანი, არავინ გვეხმარება. თავის გადასარჩენად, ჩემმა შვილმა წამოიღო ორი ყუთი. არაკანონიერი იყო პოლიციის მოქმედება. გაფრთხილების გარეშე იმოქმედეს, – განაცხადა დაჭრილის დედამ, ხათუნა ოკუჯავამ.

დაჭრილები ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

– კლინიკაში შემოიყვანეს მამა-შვილი. სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობებით. შვილს აქვს გულმკერდის მეოთხე მალის განივი მორჩის მოტეხილობა, ზურგის ტვინის დაჟეჟილობა. მამას ტერფის არეში ნაფლეთნაგლეჯი ჭრილობა.

ორივეს მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურია, გრძელდება კვლევები და შესაბამისი მკურნალობა, – განაცხადეს ჰოსპიტალში.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

„2021 წლის 30 აპრილს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოში დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალ აბასთუმანში შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, რამაც ორი პირის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით, ჩაატარებს ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას“, – აღნიშნულია სახელმწიფო ინსპექტორის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# 64 წლის კაცი, რომელმაც ნათესავის გაუპატიურება ცადა, გაათავისუფლეს



9 თვის წინ კახეთში 64 წლის კაცმა შორეულ ნათესავზე ძალადობა ცადა. ძალადობის ბრალდებით დაკავებული მამაკაცი 30 აპრილს გაათავისუფლეს.

გათავისუფლების მიზეზი მოსამართლის გადაწყვეტილება გახდა, რომელმაც მამაკაცს გაუპატიურების ბრალდება მოუხსნა.

51 წლის ნინო ჯანიაშვილს 9 თვის წინ მომხდარი შემთხვევის გახსენება უჭირს. სოფელში კარის მეზობელმა, რომელიც ასევე შორეული ნათესავია, მისი გაუპატიურება ცადა. პედაგოგი იხსენებს, რომ ღამის პირველის ნახევარზე მეზობლად მცხოვრები კაცი სახლში ძალის გამოყენებით შეეჭრა და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

დაზარალებულმა მოძალადისგან თავის დაღწევა მოახერხა და ბოლოს მეზობლების დახმარებით პოლიციაც გამოიძახა.

დაკავებიდან 9 თვის შემდეგ კი ჯანიაშვილი იგებს, რომ მოძალადე ციხეს ტოვებს – მიზეზი მოსამართლის გადაწყვეტილებაა, რომელმაც 64 წლის მამაკაცს გაუპატიურების ბრალდება მოუხსნა.

# „ძმამ იპოვა, რამდენიმე საათის გარდაცვლილი იყო“

## რა მოხდა ხერთვისში



ასპინძაში, სოფელ ხერთვისში, 39 წლის კაცს, რომელიც მანქანის შეჯახების შედეგად გარდაიცვალა, ოჯახის წევრები რამდენიმე საათის განმავლობაში ეძებდნენ.

ქვეითად მოსიარულეს მანქანა, სავარაუდოდ, 17:00-დან 17:30 საათის პერიოდში დაეჯახა. გარდაცვლილი კომენდანტის საათის დაწყების დროს იპოვეს.

– გარდაცვლილი თავის დასთან იყო სტუმრად, იქვე სოფელში ცხოვრობს, უკან მობრუნების დროს მოხდა ეს ამბავი. სახლში მისვლა რომ დააგვიანა, ძმამ დაუწყო ძებნა, კომენდანტის საათის დროს იპოვა. გზაზე ნახა ის ნივთები, რაც თან ჰქონდა. მანქანის დარტყმის შემდეგ რამდენიმე მეტრის სიმაღლიდან, ერთ-ერთი ადგილობრივის ბაღში ჩავარდა, – უთხრა „სამხრეთის კარიბჭეს“ ხერთვისის მკვიდრმა.

39 წლის კაცს მანქანა, სავარაუდოდ, მთელი ძალით შეეჯახა, რადგან ადგილზე მუხრუჭის კვალი არ არის:

– აქვე ვართ, მაგრამ არაფერი ხმა არ გაგვიგია, დატორმუზებულიც არ იყო, არც კვალია, დაეჯახა და გაიქცა. მერე მაღაზიასთან გაჩერებულა, მაღაზია დაკეტილია, მაგრამ კამერები აქვს, ალბათ ყველაფერი გამოჩნდება.

ამავე მაღაზიის მეპატრონე ამბობს, რომ მისმა შვილიშვილმა სავაჭრო ობიექტთან დაზიანებული მანქანა, რომელიც, სავარაუდოდ, 39 წლის კაცს დაეჯახა, დაახლოებით 17:30 საათზე შენიშნა.

გარდაცვლილი ახალციხის ექსპერტიზის ბიუროში იმავე დღეს გადაიყვანეს. სასამართლო ექსპერტის, დავით მერაბიშვილის თქმით, 39 წლის კაცს მრავლობითი დაზიანება აღენიშნებოდა, მათ შორის ჰქონდა ქალას ფუძის მოტეხილობაც.

სამართალდამცველებმა ავტომანქანის მძღოლი უკვე დააკავეს, იგი ახალციხელია.

# თბილისი-ზუგდიდის მატარებელი რელსებიდან გადავიდა



გუშინ, 1 მაისს, თბილისი-ზუგდიდის მატარებელი ლიანდაგიდან გადავიდა და მას ვაგონი მოწყდა.

შემთხვევა რკინიგზის ხარაგაულის მონაკვეთზე, სოფელ მარელისთან მოხდა.

– მეოთხე ვაგონი მოსწყდა სხვებს, ლიანდაგიდან გადავიდა და გვირაბის კედელს რომ არ დაეჭირა, გადატრიალდებოდა, – უთხრა მთავარს ერთ-ერთმა მგზავრმა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

# მუკუზანში დისტრიბუციის მანქანა ეკლესიას შეეჯახა



გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მუკუზანში 30 აპრილს დისტრიბუციის მანქანა ეკლესიის კედელს შეეჯახა და ამობრუნდა.

შემთხვევის დროს მანქანაში 2 ადამიანი იმყოფებოდა. ავარიას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზად გადაჭარბებული სიჩქარე სახელდება.

# გლდანის ბაზარში ლაშა არჩვაძემ დის ქმარს ესროლა



გასულ კვირას სისხლიანი დაპირისპირება მოხდა გლდანის ბაზარში.

თვითმხილველები ყვებიან, რომ დილის 9 საათზე ახალგაზრდა კაცმა საკუთარი სიძე, დის ქმარი, დაჭრა. სროლა საბითუმო მაღაზიის საწყობში მოხდა.

შეიარაღებული თავდასხმის შემდეგ მამაკაცმა თვითდაზიანებები მიიყენა.

არსებობს ვერსია, რომ ბიზნესმენთან საქმის გარჩევა ფულის გამო მოხდა.

დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას ორი ჭრილობა აღენიშნება. მამაკაცი რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს.

სიძის მკვლელობის მცდელობისთვის დაკავებული ლაშა არჩვაძე ბრალს აღიარებს. მამაკაცმა სასამართლოს თავად უთხრა, რომ ლაშა სულთანიშვილს ორჯერ ესროლა.

– ლაშამ თავი თვითონ დაიჭრა, ფეხში აქვს ნასროლი...სიძეს ორი ტყვია აქვს ნასროლი. ჩემს შვილს რაც ეკუთვნის, იმას მიუსჯიან, არც ვიცი, რა მოხდა. საუბარია ჩემს გოგოზე და სიძეზე, – ამბობს დაკავებულის მამა.

დაზარალებულის ოჯახს მედიასთან კონტაქტი არ სურს.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე და 236-ე მუხლებით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

# საბურთალოზე ტრანსი გოგონა ცემეს

30 აპრილს თბილისში, საბურთალოზე, პეკინის 21 ნომერში, არასრულწლოვან ტრანს გოგოს თავს დაესხნენ.



მადონა კიპაროიძის ინფორმაციით, თავდასხმაში ორი პირი მონაწილეობდა.

– ტელეფონი დაუმტვრიეს, ჩანთა და საფულე მოჰპარეს, გეის ეძახდნენ, აგინებდნენ და ურტყამდნენ... საქართველოში განსხვავებული ორიენტაციის ადამიანები დაუცველები ვართ, სახელმწიფო ჩვენს ინტერესს არ იცავს. როგორც ვიცი, საპატრულო პოლიციამ თავდამსხმელების იდენტიფიცირება უკვე მოახდინა პეკინზე არსებული ვიდეოკამერების მეშვეობით. თავად დაზარალებული კი პოლიციაშია გადაყვანილი, სასწრაფოც თავად გამოიძახა, – განაცხადა კიპაროიძემ.

# ყირგიზეთი და ტაჯიკეთი საზღვარზე ცეცხლის სრულად შეწყვეტაზე შეთანხმდნენ



ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების ხელმძღვანელები ყირგიზეთის ბათქენის ოლქში შეხვედრის შედეგად საზღვარზე ცეცხლის სრულად შეწყვეტაზე შეთანხმდნენ.

მხარეები იმედს გამოთქვამენ, რომ მიღებული გადაწყვეტილება შესრულდება.

ყირგიზეთ-ტაჯიკეთის საზღვარზე ვითარების მოსაგვარებლად დელეგაციების მოლაპარაკებები გრძელდება. ამასთან, ქვეყნების შინაგან საქმეთა სამინისტროები სასაზღვრო სოფლებში ერთობლივ პატრულირებაზე შეთანხმდნენ.

მხარეებს ვითარების მოგვარებაში დახმარება შესთავაზა ეუთოს ხელმძღვანელობამ. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროშიც გამოითქვა მზადყოფნა, სიტუაციის დასტაბილურებას ხელი შეუწყონ.

ყირგიზეთში შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად გარდაცვლილთა რიცხვი 33-მდე გაიზარდა, დაშავებულთა რიცხვი კი 160-ს აჭარბებს. რაც შეეხება ტაჯიკეთს, ადგილობრივი მედიასაშუალებების ინფორმაციით, დაიღუპა 10-მდე და დაიჭრა 90-მდე ადამიანი.

ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის საზღვარზე სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც ორი ქვეყნის სასაზღვრო რაიონების მცხოვრებლებს შორის წყალგამანაწილებელ ობიექტთან დაკავშირებით კონფლიქტი მოხდა.



# უკრაინა მალე ნატოში ელჩს დანიშნავს

უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ მოსახლეობას აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა. მან განაცხადა, რომ მალე უკრაინა ნატოში ელჩს დანიშნავს. ზელენსკიმ აღნიშნა, რომ კანდიდატურა უკვე შერჩეულია და დღესასწაულების შემდეგ ახალი ელჩის ვინაობას საჯაროდ გამოაცხადებენ.

– უკრაინის კურსი ნატოსაკენ შეუქცევადია! ამას ვერავინ და ვერაფერი შეგვაცვლევინებს! – თქვა ზელენსკიმ.

უკრაინის ნატოში გაწევრიანების მომხრეთა რაოდენობა უკრაინაში იზრდება. დღეისათვის ის უკვე 64%-ია.

# მსოფლიოში ვაქცინაცია დღეში 20 მილიონ ადამიანს უტარდება




კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მსოფლიოს 174 ქვეყანაში მიმდინარეობს და ამ დროისთვის გლობალურად ვაქცინების 1.13 მილიარდზე მეტი დოზაა გამოყენებული, რაც პლანეტის მოსახლეობის 7.4%-ის ვაქცინაციისთვის არის საკმარისი.

შესაბამის მონაცემებს გამოცემა ბლუმბერგი ავრცელებს.

პლატფორმის მიხედვით, მსოფლიოში ვაქცინაცია ყოველდღიურად საშუალოდ 20 მილიონ ადამიანს უტარდება. ვაქცინების განაწილების ტემპით ახლა უკვე ჩინეთი ლიდერობს, სადაც 253 მილიონი დოზა გაიცა. აშშ-ში ვაქცინის 240 მილიონი დოზა გამოიყენეს, ინდოეთში – 154 მილიონი, ევროკავშირში კი 145 მილიონზე მეტი ვაქცინა გაკეთდა. ისრაელში ვაქცინაცია ყველაზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, სადაც მოსახლეობის 56.3% ვაქცინის ორივე დოზით აიცრა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**






# ქორწილიდან სამ დღეში ქმარი ცოლის თვალწინ ოკეანეში დაიხრჩო

ამერიკის ფლორიდის შტატში თაფლობის თვის გასატარებლად მყოფი მამაკაცი ახლად შერთული ცოლის თვალწინ ოკეანეში დაიხრჩო.

მისურის შტატის ქალაქ კანზას-სიტის მკვიდრი ახალგაზრდა მასწავლებელი შაიენ კოტრელი და მისი შეყვარებული დალტონი 2019 წლის 27 ივლისს დაქორწინდნენ. მეორე დღეს ახლად შეუღლებულები ფლორიდაში თაფლობის თვის გასატარებლად გაემგზავრნენ. ქორწილიდან მესამე დღეს წყვილმა გადაწყვიტა ოკეანეში ეცურავათ.

– დალტონმა პირველად ნახა ოკეანე და მეტად აღფრთოვანებული იყო, – იხსენებს 24 წლის ქვრივი.

შაიენის თქმით, ისინი წყალში ფრთხილად შევიდნენ.

– მინდოდა, რომ დალტონი თანდათან შესჩვეოდა ოკეანეს, ვინაიდან მანამდე ის მხოლოდ ტბაში დაცურავდა, – ამტკიცებს ქალი. წყვილი ნაბიჯ-ნაბიჯ შედიოდა წყალში, სანამ დალტონი ძლიერი ტალღის დარტყმამ არ წააქცია და წყლის სიღრმეში არ ჩაითრია. მამაკაცი პანიკამ შეიპყრო და ამ დროს მას მეორე ტალღამ გადაუარა.

ქვრივის მტკიცებით, ის შეეცადა პანიკაში ჩავარდნილი მეუღლე დაემშვიდებინა და დახმარებოდა, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ მან მაშველების ნავი შენიშნა და საშველად უხმო. ნავი მათკენ წამოვიდა, მაგრამ ამ დროს დალტონი სიღრმისკენ წავიდა, მეუღლეს თმებში სტაცა ხელი და თან გაიყოლა. ქალმა თავის განთავისუფლება და ზევით ამოყვინთვა მოახერხა. მაშველების ადგილზე მისვლის მომენტისთვის დალტონს გონება ჰქონდა დაკარგული, შაიენი ცდილობდა, რომ მისი თავი წყლის ზედაპირზე დაეჭირა.

საბოლოოდ მაშველებმა ორივე ნავში მოათავსეს და ნაპირზე გამოიყვანეს, შემდეგ კი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ექიმებმა მამაკაცის გარდაცვალება დააფიქსირეს. იმ დროისთვის 22 წლის დალტონის დასაფლავება, რომელსაც 600-ზე მეტი ადამიანი დაესწრო, 2019 წლის 10 აგვისტოს გაიმართა.

# ზვიგენმა მამაკაცს თავზე უკბინა და კბილი მოიტეხა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სანაპიროსთან ზვიგენი მყვინთავს თავს დაესხა, უკბინა და შედეგად კბილი მოიტეხა.

აღნიშნული ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც 38 წლის ჯარიდ ნორმანი წყალქვეშ ნადირობით იყო დაკავებული. ის ხედავდა, რომ ირგვლივ ზვიგენები დაცურავდნენ, თუმცა ამას ყურადღებას არ აქცევდა.

– ეს იმას ჰგავს, ბაღში გველი რომ დაინახო, – განმარტა ნორმანმა, – ისინი შენ ყურადღებას არ გაქცევენ, თუ მათ თავად არ აღიზიანებ და ისეთი რამ არ გაქვს, რაც მათ სჭირდებათ.

ზვიგენი დაინტერესდა თევზით, რომელიც ნორმანმა წყალქვეშ სანადირო თოფით მონადირა და რომელიც მას ხელში ეჭირა. ერთ-ერთი ზვიგენი მამაკაცთან მიცურდა და მისი წართმევა მოინდომა, მაგრამ თევზის მაგივრად ადამიანის თავს ჩააფრინდა კბილებით.

– ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოსდა ვიღაცამ თავში მუშტი ჩამცხო, – ყვება ნორმანი, – მაგრამ ეს არ ყოფილა თავდასხმა, მისი მიზანი ის თევზი იყო, რომელიც მე მეჭირა ხელში.

მეორე ცდაზე ზვიგენმა მოახერხა მისთვის თევზის წართმევა, რის შემდეგაც იქაურობას გაეცალა. ამ ინციდენტის შედეგად მამაკაცი თითქმის არ დაშავებულა. მხოლოდ ხმელეთზე ამოსვლის შემდეგ შენიშნა, რომ თავში რაღაც ჰქონდა ჩაჭედილი.

– თავდაპირველად ვიფიქრე, რომ თავად დავიზიანე თავი, – ამტკიცებს ნორმანი, – მაგრამ შემდეგ მანქანის სარკეში ჩავიხედე და რაღაც ძვალივით შევნიშნე. ის ზვიგენის კბილის პატარა ფრაგმენტი აღმოჩნდა.

# ექიმმა მითვისებულ ფულს „საჩუქარი" უწოდა




ინგლისელი ექიმი ჰეიდარ ალ ნაგეიმი ორი წლის განმავლობაში ითვისებდა ხელფასს, რომელიც მას შეცდომით ერიცხებოდა.

ექიმი ჩესტერის საავადმყოფოდან 2012 წლის დეკემბერში გაათავისუფლეს. თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ სამედიცინო დაწესებულების ყოფილი თანამშრომელი საავადმყოფოს სატრასტო ფონდიდან ხელფასის მიღებას აგრძელებდა. ფული ალ ნაგეიმის ანგარიშზე 2015 წლის აპრილამდე ირიცხებოდა. სულ ამ დროის განმავლობაში მან 41 ათასი ფუნტი სტერლინგი მიიღო.

როდესაც გამოძიება დაიწყო, ალ ნაგეიმმა მიღებულ ფულს ყოფილი სამუშაო ადგილის კადრების განყოფილების თანამშრომლების საჩუქარი უწოდა, მოგვიანებით კი ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ მისთვის ჩარიცხული ფული სესხად ჩათვალა, რომელიც უნდა დაებრუნებინა.

მოსამართლემ დაადგინა, რომ შეუძლებელია, ალ ნაგეიმს არ სცოდნოდა, რომ ფულს უკანონოდ იღებდა. სატრასტო ფონდის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩარიცხვები შეცდომით ხდებოდა და ამ მომენტისთვის მათი გამოთხოვაა გაკეთებული.

2020 წლის ბოლოსთვის ექიმს მის წინააღმდეგ დაწყებული გამოძიების გამო ლიცენზია შეუჩერდა. ალ ნაგეიმმა სასამართლოში აპელაცია შეიტანა, თუმცა უარი მიიღო.

# თახვებმა კანადაში ინტერნეტი გათიშეს



კანადის პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიაში თახვებმა 900-მდე ადამიანი ინტერნეტის გარეშე დატოვეს.

მღრღნელებმა მსოფლიო ქსელიდან გათიშეს ქვეყნის დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქი ტამბლერ რიჯი.

კავშირი შაბათს, 24 აპრილს, 04:00 საათზე გაწყდა. როდესაც პროვაიდერული სამსახურის თანამშრომლები ადგილზე მივიდნენ, აღმოაჩინეს, რომ თახვებმა რამდენიმე ადგილზე დააზიანეს და წაიღეს დენსადენი და ოპტიკურბოჭკოვანი სადენები.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ცხოველები მოპოვებულ მასალებს შორიახლოს წყალში ჯებირების ასაგებად იყენებდნენ. ოპერატორის წარმომადგენელმა ლიზ სოვემ განაცხადა, რომ მომხდარი მეტად უცნაური, თუმცა „ჭეშმარიტად კანადურია".

ქალაქ ტამბლერ რიჯის მცხოვრებლებისთვის ინტერნეტის აღდგენა 25 აპრილის 15:00 საათისთვის მოხერხდა.



# ოქონის ხატი მოსკოვში „არუჟენნაია პალატაში" ინახება

ამ ინფორმაციას ისტორიკოსი გიორგი კალანდია ავრცელებს და საბუთად პროფესორ ჯუანშერ ვათეიშვილის არქივში აღმოჩენილი ფოტო მოჰყავს:



– პროფესორ ჯუანშერ ვათეიშვილის არქივში ერთი ძალიან საინტერესო ფოტო აღმოვაჩინე: თანდართული აღწერილობის მიხედვით ირკვევა, რომ ეს ოქონის ხატია, რომელიც თურმე მოსკოვში „არუჟენნაია პალატაში" ინახება. მასზე არსებული ასომთავრული ქართული წარწერის მიხედვით, „ოქონის ხატი" მეფე არჩილსა და მის მეუღლეს, დედოფალ ქეთევანს ეკუთვნოდათ!

გარდა იმისა, რომ ხატი საინტერესო ხელოვნების ნიმუშია, რატომ გავამახვილე მასზე ყურადღება?! ცნობილია, რომ ოსური მხარე უკვე რამდენიმე წელია, დაჟინებულად ქართული მხარისაგან ითხოვს 1992 წელს ცხინვალის მუზეუმიდან დაკარგულ და 2004 წელს კრისტის აუქციონის მიერ საქართველოსათვის დაბრუნებულ ხატს, რომელსაც ოსები ოქონის ხატად მიიჩნევენ, ციტატა: „2002 წელს ე.წ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი მურად ჯიოევი აცხადებდა, რომ ეს ხატი „სამხრეთ ოსეთის ხალხის მონაპოვარი და კულტურული მემკვიდრეობაა" და აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს მათ".

ჰოდა, აგერ სამართლიანი გამოსავალი ნაპოვნია! ოსებმა ოქონის ხატი თურმე მოსკოვში უნდა ეძებონ. იქ არის „ოსეთის ხალხის მონაპოვარი და მემკვიდრეობა". თან ქართული წარწერით, ქართველი მეფისა და დედოფლის მოხსენიებით!

ასე რომ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – მომავალში თუ მოლაპარაკებების დროს ეს საკითხი ოსური მხარის მიერ კვლავ წამოიჭრა, მზად ვართ, დოკუმენტურად მივაწოდოთ მასალა, მოსკოვის რომელ მუზეუმში უნდა ეძებონ „ოქონის ხატი".

# კახი კავსაძე უკანასკნელ გზაზე ტაშით გააცილეს

დასაწყისი მე-8 გვერდზე



ველოდი?! ველოდი ისე, როგორც ყველა, მაგრამ არ მეთმობოდა. თან კახიმ ყველაზე მაგრად იცოდა ბრძოლა, მათ შორის, სიცოცხლისთვის. ჯერ თავისი უსაყვარლესი ბელას სიცოცხლის გასახანგრძლივებლად იბრძოლა თავდადებითა და თავგანწირვით, შემდეგ – საკუთარის. ბოლო წლებში 13 ოპერაცია გადაიტანა, არ შეეპუა არც ონკოლოგიურ დაავადებას, კოვიდიც დაამარცხა,...ჰო და მეგონა, კიდევ გაიმარჯვებდა. სულ ჩვენთან ვერ იქნებოდა, მაგრამ ცოტა ხანი მაინც...რომ დავრეკავდი, ისევ ისე შეეძახა ტელეფონში: „ოოოოოო, ეს ვისი ხმა მესმის, როგორ ხარ, ჩემო გია, ჯემალი რას შვრება?" კახი ზეიმი იყო! დღესასწაული! სიცოცხლის აფეთქება! ქართველი კაცის კეთილშობილება და ვაჟკაცობა!...არტისტი იყო! სულ სხვა, ამაღლებულ აზრს დებდა ამ სიტყვაში. სხვანაირად წარმოთქვამდა კიდეც – რიდით, სიყვარულით, აღმაფრენით. ხალხის მსახურებასა და ღმერთის მიმართ მადლიერებას ამოიკითხავდი მის ამ დამოკიდებულებაში. არავისგან მიგრძნია მაყურებლის მიმართ ასეთი მოწიწება და მადლიერება, როგორც კახისგან! არც ღვთის სიყვარული და რწმენა მინახავს ასეთი უბრალო, მართალი და სიხარულით სავსე. პატრიარქმა თავზე ხელი დამადო, დამლოცა, მითხრა, ყველაფერი კარგად გექნება, ჩავედი გერმანიაში, ექიმებმა გამსინჯეს და სიმსივნის კვალი ველარსად ნახესო, აღტაცებით გვიყვებოდა ყველას, ნაცნობსაც და უცნობსაც.

მთელი ცხოვრება სიკეთესა და სიყვარულს აფრქვევდა და სიკეთისა და სიყვარულის რწმენას გინერგავდა თავისი არსებობით. დაკრძალვის დღეს დაჰპირდა თავის განუყრელ მეგობარს, გივი ბერიკაშვილს, მალე მოვალო და არც აქ გატეხა სიტყვა! ღმერთმა გაანათლოს კახი კავსაძის სული და დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# წყალდიდობის გამო ქონებადაკარგულმა მამაკაცმა ჯეკპოტი მოხსნა




ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ მიდლენდის მცხოვრებმა წყალდიდობის შედეგად მთელი ქონება დაკარგა, შემდეგ კი ლატარიაში მსხვილი თანხა მოიგო.

29 წლის მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ ჩვეულებრივ 20– დოლარიან ბილეთებს არ ყიდულობს, თუმცა ამჯერად, მაღაზიაში საყიდლებზე შესულმა, ყურადღება მომენტალური ლატარიის ბილეთს მიაპყრო და გადაწყვიტა, ბედი ეცადა. მაღაზიიდან გამოსულმა და მანქანაში დაბრუნებულმა ამერიკელმა ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა.

– როდესაც დავინახე, რომ მოვიგე, ვიფიქრე, რომ უბრალოდ ბილეთში გადახდილი ფული დავიბრუნე, მაგრამ, როდესაც მივხვდი, რომ ჯეკპოტი მოვხსენი, კანკალმა ამიტანა, – აღიარა მამაკაცმა.

გათამაშების გამარჯვებულს შეეძლო, ორი მილიონი დოლარი რამდენიმე წლის განმავლობაში ნელ-ნელა მიეღო ან ერთიანად, ოღონდ ამ შემთხვევაში მისი მოგება 1,3 მილიონ დოლარს შეადგენდა. მან მეორე ვარიანტი ამჯობინა.

ამერიკელი აპირებს, მოგებული თანხის ნაწილით ვალები გაისტუმროს, ხოლო დანარჩენ თანხას სამომავლოდ გადადებს.

# ათასობით თუთიყუში ქალაქის მცხოვრებლებს ატერორებს

ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის სამხრეთში კორელის სახეობის ათასობით თუთიყუშმა თავი ქალაქ ნაურაში მოიყარა და ადგილობრივი მცხოვრებლების დატერორება დაიწყო. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა საინფორმაციო არხმა საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. ტიკტოკის მომხმარებლის მიერ გადაღებულ ვიდეორგოლში ჩანს, რომ სახლების მიმდებარედ არსებული გზების მონაკვეთები, შენობა-ნაგებობების სახურავები, გაჩერებული ავტომობილები და განათების ბოძები თეთრი თუთიყუშებისგანაა გადათეთრებული. რამდენიმე წამში კი თუთიყუშების გუნდები ჰაერში აიჭრებიან და ქუჩებს თავს დასტრიალებენ. საინფორმაციო სააგენტოს მონაცემებით, კორელის თუთიყუშებს შეუძლიათ, ადამიანებს უამრავი პრობლემა შეუქმნან, თუმცა ისინი იძულებულნი არიან, ამ ყოველივეს შეეგუონ და მოითმინონ მათი უკონტროლო გამოხდომები, ვინაიდან თუთიყუშების ამ სახეობას სახელმწიფო იცავს.



**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# შედეგები

## 1 მაისი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

კრ.პალასი-სიტი ............ 0:2
ბრაიტონი-ლიდსი ............ 2:0
ჩელსი-ფულემი ............ 2:0
ევერტონი-ასტონ ვილა ............ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 34 | 25 | 5 | 4 | 71-24 | 80 |
| 2.მანჩესტერი | 33 | 19 | 10 | 4 | 64-35 | 67 |
| 3.ლესტერი | 34 | 19 | 6 | 9 | 61-39 | 63 |
| 4.ჩელსი | 34 | 17 | 10 | 7 | 53-31 | 61 |
| 5.ვესტ ჰემი | 33 | 16 | 7 | 10 | 53-43 | 55 |
| 6.ლივერპული | 33 | 15 | 9 | 9 | 55-39 | 54 |
| 7.ტოტენჰემი | 33 | 15 | 8 | 10 | 56-38 | 53 |
| 8.ევერტონი | 33 | 15 | 7 | 11 | 45-42 | 52 |
| 9.ასტონ ვილა | 33 | 14 | 6 | 13 | 48-38 | 48 |
| 10.ლიდსი | 34 | 14 | 5 | 15 | 50-52 | 47 |
| 11.არსენალი | 33 | 13 | 7 | 13 | 44-37 | 46 |
| 12.ვულვზი | 33 | 11 | 8 | 14 | 32-45 | 41 |
| 13.კრ.პალასი | 33 | 10 | 8 | 15 | 34-56 | 38 |
| 14.ბრაიტონი | 34 | 8 | 13 | 13 | 35-39 | 37 |
| 15.საუთჰემპტონი | 33 | 10 | 7 | 16 | 41-59 | 37 |
| 16.ბარნლი | 33 | 9 | 9 | 15 | 30-45 | 36 |
| 17.ნიუკასლი | 33 | 9 | 9 | 15 | 36-54 | 36 |
| 18.ფულემი | 34 | 5 | 12 | 17 | 25-45 | 27 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 33 | 5 | 10 | 18 | 30-64 | 25 |
| 20.შეფილდი | 33 | 5 | 2 | 26 | 18-56 | 17 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

უენსდი-ნოტინგემი ............ 0:0
ბირმინგემი-კარდიფი ............ 0:4
ბრენტფორდი-უოტფორდი ............ 2:0
ლუთონი-მიდლსბრო ............ 1:1
მილუოლი-ბრისტოლი ............ 4:1
ნორვიჩი-რედინგი ............ 4:1
პრესტონი-ბარნსლი ............ 2:0
როტერჰემი-ბლექბერნი ............ 1:1
სტოკი-ქპრ ............ 0:2
სუონსი-დერბი ............ 2:1
უიკომბი-ბორნმუთი ............ 1:0
ჰადერსფილდი-ქოვენთრი ............ 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ეიბარი-ალავესი ............ 3:0
ელჩე-ატლეტიკო ............ 0:1
უესკა-სოსიედადი ............ 1:0
რეალი-ოსასუნა ............ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 34 | 23 | 7 | 4 | 61-22 | 76 |
| 2.რეალი | 34 | 22 | 8 | 4 | 58-24 | 74 |
| 3.ბარსელონა | 33 | 22 | 5 | 6 | 77-31 | 71 |
| 4.სევილია | 33 | 22 | 4 | 7 | 49-26 | 70 |
| 5.სოსიედადი | 34 | 14 | 11 | 9 | 51-35 | 53 |
| 6.ბეტისი | 33 | 14 | 8 | 11 | 42-45 | 50 |
| 7.ვილიარეალი | 33 | 12 | 13 | 8 | 50-38 | 49 |
| 8.გრანადა | 33 | 13 | 6 | 14 | 43-54 | 45 |
| 9.სელტა | 34 | 11 | 11 | 12 | 46-51 | 44 |
| 10.ბილბაო | 33 | 10 | 12 | 11 | 43-36 | 42 |
| 11.ოსასუნა | 34 | 10 | 10 | 14 | 31-41 | 40 |
| 12.ლევანტე | 34 | 9 | 11 | 14 | 38-48 | 38 |
| 13.კადისი | 33 | 9 | 10 | 14 | 28-49 | 37 |
| 14.ვალენსია | 33 | 8 | 12 | 13 | 41-48 | 36 |
| 15.ხეტაფე | 33 | 8 | 10 | 15 | 26-39 | 34 |
| 16.ალავესი | 34 | 7 | 10 | 17 | 28-52 | 31 |
| 17.უესკა | 34 | 6 | 12 | 16 | 32-50 | 30 |
| 18.ვალიადოლიდი | 33 | 5 | 15 | 13 | 31-45 | 30 |
| 19.ელჩე | 34 | 6 | 12 | 16 | 29-50 | 30 |
| 20.ეიბარი | 34 | 5 | 11 | 18 | 26-46 | 26 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხირონა-ტენერიფე ............ 1:0
ალმერია-ოვიედო ............ 2:2
მალიროკა-მირანდესი ............ 2:1

**იტალია. სერია ა**

ვერონა-სპეცია ............ 1:1
კროტონე-ინტერი ............ 0:2
მილანი-ბენევენტო ............ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 34 | 25 | 7 | 2 | 74-29 | 82 |
| 2.მილანი | 34 | 21 | 6 | 7 | 62-41 | 69 |
| 3.ატალანტა | 33 | 20 | 8 | 5 | 78-39 | 68 |
| 4.ნაპოლი | 33 | 21 | 3 | 9 | 73-37 | 66 |
| 5.იუვენტუსი | 33 | 19 | 9 | 5 | 65-30 | 66 |
| 6.ლაციო | 32 | 19 | 4 | 9 | 56-46 | 61 |
| 7.რომა | 33 | 16 | 7 | 10 | 58-51 | 55 |
| 8.სასუოლო | 33 | 14 | 10 | 9 | 55-50 | 52 |
| 9.სამპდორია | 33 | 12 | 6 | 15 | 43-47 | 42 |
| 10.ვერონა | 34 | 11 | 9 | 14 | 41-42 | 42 |
| 11.უდინეზე | 33 | 10 | 9 | 14 | 38-44 | 39 |
| 12.ბოლონია | 33 | 10 | 8 | 15 | 44-53 | 38 |
| 13.ჯენოა | 33 | 8 | 12 | 13 | 37-48 | 36 |
| 14.ფიორენტინა | 33 | 8 | 10 | 15 | 42-54 | 34 |
| 15.სპეცია | 34 | 8 | 10 | 16 | 43-63 | 34 |
| 16.ბენევენტო | 34 | 7 | 10 | 17 | 37-68 | 31 |
| 17.ტორინო | 32 | 6 | 13 | 13 | 46-56 | 31 |
| 18.კალიარი | 33 | 8 | 7 | 18 | 39-56 | 31 |
| 19.პარმა | 33 | 3 | 11 | 19 | 36-70 | 20 |
| 20.კროტონე | 34 | 5 | 3 | 26 | 42-85 | 18 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ემპოლი ............ 2:0
ბრეშა-სპალი ............ 3:1
ვენეცია-კიევო ............ 3:1
ვირტუსი-ვიჩენცა ............ 1:2
კოზენცა-პესკარა ............ 3:0
კრემონეზე-რეჯინა ............ 1:1
ლეჩე-ჩიტადელა ............ 1:3
რეჯანა-პორდენონე ............ 1:0
სალერნიტანა-მონცა ............ 1:3
ფროზინონე-პიზა ............ 3:1

**საფრანგეთი. ლიგა 1**

პსჟ-ლანსი ............ 2:1
ლილი-ნიცა ............ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 35 | 22 | 10 | 3 | 59-22 | 76 |
| 2.პსჟ | 35 | 24 | 3 | 8 | 79-27 | 75 |
| 3.მონაკო | 34 | 22 | 5 | 7 | 71-38 | 71 |
| 4.ლიონი | 34 | 19 | 10 | 5 | 67-35 | 67 |
| 5.ლანსი | 35 | 15 | 11 | 9 | 55-48 | 56 |
| 6.მარსელი | 35 | 15 | 11 | 9 | 50-43 | 56 |
| 7.რენი | 34 | 15 | 9 | 10 | 48-36 | 54 |
| 8.მონპელიე | 34 | 12 | 11 | 11 | 54-57 | 47 |
| 9.ნიცა | 35 | 13 | 7 | 15 | 44-47 | 46 |
| 10.მეცი | 34 | 11 | 10 | 13 | 37-41 | 43 |
| 11.რეიმსი | 34 | 9 | 14 | 11 | 39-41 | 41 |
| 12.ანჟე | 34 | 11 | 8 | 15 | 34-51 | 41 |
| 13.ბრესტი | 34 | 11 | 7 | 16 | 47-57 | 40 |
| 14.სტ.ეტიენი | 34 | 10 | 9 | 15 | 39-52 | 39 |
| 15.სტრასბური | 35 | 10 | 8 | 17 | 44-54 | 38 |
| 16.ბორდო | 34 | 10 | 6 | 18 | 36-52 | 36 |
| 17.ლორიანი | 34 | 9 | 8 | 17 | 44-62 | 35 |
| 18.ნანტი | 34 | 6 | 13 | 15 | 35-52 | 31 |
| 19.ნიმი | 34 | 8 | 7 | 19 | 33-62 | 31 |
| 20.დიჟონი | 34 | 3 | 9 | 22 | 23-61 | 18 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

პარიზი-ტულუზა ............ 3:1
ამიენი-გენგამი ............ 0:3
ლე ავრი-შამბლი ............ 2:4
დიუნკერკი-სოშო ............ 1:0
კაენი-ოსერი ............ 0:0
ნანსი-ვალანსიენი ............ 1:3
ნიორი-როდეზი ............ 1:1
პო-აიაჩო ............ 0:0
შატორუ-ტრუა ............ 1:2

**ნიდერლანდები. ეიდივიზიონი**

ერაკლესი-ვენლო ............ 4:0
სიტარდი-ტვენტე ............ 3:0
ვიტესი-ზვოლე ............ 2:1
ვალვაიკი-ალკმაარი ............ 1:3
უტრეხტი-ტილბურგი ............ 3:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ჟილ ვისენტე-ფარენსე ............ 0:0
პორტიმორენშე-რიუ ავე ............ 0:0
სანტა კლარა-ბოავიშტა ............ 3:3
სპორტინგი-ნასიონალი ............ 2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

როტორი-ახმატი ............ 1:0
რუბინი-დინამო ............ 2:0
ცსკა-უფა ............ 1:1
კრასნოდარი-სოჭი ............ 1:3

**ავსტრია. თასი**

**ფინალი**

ლინცერი-ზალცბურგი ............ 0:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ლივინგსტონი-აბერდინი ............ 1:2
ჰიბერნიანი-სტ.ჯონსონი ............ 0:1
დ.იუნაიტედი-როსი ............ 0:2
მოზერველი-კილმანროკი ............ 2:0
სტ.მირენი-ჰამილტონი ............ 1:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

**ფლეი აუტი**

სერენი-ბევერენი ............ 1:1

**სერენის გოლი**
**გიორგი მიქაუტაძემ გაიტანა**

**ბელგია. ა დივიზიონი**

ოსტენდე-სტანდარდი ............ 6:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბეშიქთაში-ჰატაი ............ 7:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ოპავა-ბოჰემიანსი 1905 ............ 1:1
პრჟიბრჟამი-ჩესკე ............ 0:1
სლოვაცკო-ბოლესლავი ............ 0:1
ბანიკი-ბრნო ............ 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ვადუცი-ლუცერნი ............ 1:2
ბაზელი-სტ.გალენი ............ 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეგია-ვისლა ............ 0:0
პოგონი-ვარტა ............ 1:1
ლეხი-სტალი ............ 1:2

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

ზალაეგერსეგი-კიშვარდა ............ 0:0
ფერენცვაროში-მეზეკოვეშდი ............ 2:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

დესნა-კოლოსი ............ 2:2
შახტარი-დნიპრო ............ 2:1
ვორსკლა-დინამო ............ 1:5

**შვედეთი. ალსვენსკა**

სირიუსი-კალმარი ............ 1:1
ჰამარბი-ჰაკენი ............ 1:1

# ევრობასკეტის კალენდარი ცნობილია

ბერლინში გამართული ევროპის 2022 წლის ჩემპიონატის წილისყრის დასრულების შემდეგ გათამაშების კალენდარი მალევე დადგინდა.



მოგეხსენებათ, 2022 წლის 1-18 სექტემბერს ევროპის 4 ქვეყანა – საქართველო, გერმანია, იტალია და ჩეხეთი კონტინენტის პირველობას უმასპინძლებს. ამ ქვეყნებში გაიმართება ჯგუფური ეტაპის მატჩები, რის შემდეგაც ფლეი ოფს მეოთხედფინალებიდან გერმანიის დედაქალაქი ბერლინი უმასპინძლებს.

გთავაზობთ საქართველოს დედაქალაქ თბილისში გასამართ ა ჯგუფის კალენდარს:

1 სექტემბერი: თურქეთი-რუსეთი; ესპანეთი-ბულგარეთი; ბელგია-საქართველო;

3 სექტემბერი: რუსეთი-ბელგია; ბულგარეთი-თურქეთი; საქართველო-ესპანეთი;

4 სექტემბერი: ესპანეთი-ბელგია; ბულგარეთი-რუსეთი; თურქეთი-საქართველო;

6 სექტემბერი: რუსეთი-ესპანეთი; ბელგია-თურქეთი; საქართველო-ბულგარეთი; სექტემბერი: თურქეთი-ესპანეთი; ბულგარეთი-ბელგია; საქართველო-რუსეთი.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ქალს წონაში დაკლება ქმრის დაკარგვის ფასად დაუჯდა



ამერიკის ორეგონის შტატის მცხოვრებმა ქალმა მეუღლე მას შემდეგ დაკარგა, რაც წონაში 58 კილოგრამი დაიკლო და მისი დახმარება აღარ დასჭირდა.

34 წლის კელი უილსონის თქმით, მან წონაში მატება 2014 წლიდან დაიწყო მთელი რიგი დაავადებების, მათ შორის რევმატული ართრიტისა და ფიბრომიალგიის გამო. პრაქტიკულად საწოლს მიჯაჭვული ქალი დეპრესიამ შეიპყრო და მთლიანად არაჯანსაღ კვებაზე გადავიდა. შედეგად მისმა წონამ 122 კილოგრამს მიაღწია.

დაავადებისა და მას დამატებული სიმსუქნის გამო უილსონი საერთოდ ველარ მოძრაობდა. ამიტომ მისი 32 წლის მეუღლე, მაიკი, რომელიც ქალმა 2007 წელს გაიცნო, მის მომვლელად გადაიქცა. უილსონი სხვადასხვა დიეტას ცდიდა, მაგრამ დაკლებული კილოგრამები გარკვეული დროის შემდეგ ისევ უბრუნდებოდა, ხოლო სპორტს ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ მისდევდა.

2019 წლის აპრილში ქალმა კუჭის დაპატარავების ოპერაცია გაიკეთა. აღნიშნული პროცედურის შემდეგ მან წონაში 58 კილოგრამის დაკლება მოახერხა. ამ ცვლილების შედეგად ის მეუღლეზე დამოკიდებული აღარ იყო და მათ ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა. მიმდინარე წლის დასაწყისში მაიკმა კელის განქორწინება სთხოვა.

უილსონს 14-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ განქორწინების გადატანა გაუჭირდა და ახლა მარტო ცხოვრებას ეჩვევა.

# 23 ფუნტად ნაყიდი საათი მამაკაცს ათი ათასად შეუფასეს



უელსელმა პენსიონერმა შემფასებელს მიუტანა მაჯის საათი, რომელიც მან 1960-იან წლებში იყიდა და შეიტყო, რომ ის ამჟამად დაახლოებით ათი ათასი ფუნტი სტერლინგი ღირს.

ხანშიშესულმა მამაკაცმა Heuer-ის მარკის მაჯის საათი შესაფასებლად მიიტანა შოუზე Antiques Roadshow. ექსპერტმა ელისტერ ჩენდლერმა გულდასმით შეისწავლა საათი და მის პატრონს უთხრა, რომ ამ მარკის საათები 1960-70-იან წლებში „ფორმულა 1-თან" იყო ასოცირებული. მან განმარტა, რომ Heuer ასპონსორებდა შეჯიბრებას და ამ კომპანიის ლოგოტიპები განთავსებული იყო არა მხოლოდ პილოტების კომბინეზონებზე, არამედ ყველაფერზე, რაც კი რბოლებს უკავშირდებოდა.

ჩენდლერმა ხანშიშესულ მამაკაცს ჰკითხა, თუ იყო დაინტერესებული ავტოსპორტით, რაზეც მან უპასუხა:

– მე რბოლების დიდ ფანი არ ვარ, მაგრამ საათი მომეწონა, როდესაც ის 1960-იანი წლების შუა წლებში ჩემი მეგობრის დახლზე დავინახე და ამიტომაც ვიყიდე. საათის მფლობელი ექსპერტს გამოუტყდა, რომ საათი 23 ფუნტად შეიძინა და იმ დროს ეს თანხა მისი ერთი თვის ხელფასის ნახევარს შეადგენდა.

ექსპერტის თქმით, ამჟამად ეს მოდელი ამერიკელი ავტომრბოლელის მარიო ანდრეტის საყვარელი საათია. ჩენდლერმა მამაკაცს უთხრა, რომ საათის აუქციონზე გატანის შემთხვევაში თავისუფლად შეუძლია, მისი ფასად შვიდიდან ათი ათას ფუნტ სტერლინგამდე დაადგინოს.

# იტალიაში პიცის დამამზადებელი ავტომატი გამოჩნდა




იტალიის დედაქალაქ რომში დადგეს პირველი ავტომატი, რომელიც პიცას ამზადებს და ყიდის.

მოწყობილობა, სახელწოდებით Mr.Go.Pizza, რომელიც გარეგნულად ჩვეულებრივ ვენდინგურ ავტომატს ჰგავს, იტალიის დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ, ბოლონიის მოედანზე გამოჩნდა.

პიცამატის შემქმნელებმა გამოაქვეყნეს ვიდეორგოლი იმის თაობაზე, თუ როგორ მუშაობს აღნიშნული მოწყობილობა. მის შიგნითაა მიქსერი, რომელიც თავად ამზადებს კლასიკურ ცომს წყლისა და ფქვილისგან, რომელიც შემდეგ იტკეპნება და ბრტყელი და მრგვალი ფორმა ეძლევა. კლიენტი ირჩევს ინგრედიენტებს, ხოლო ავტომატი მათ გამზადებულ ცომზე ანაწილებს, შემდეგ კი პიცა 380 გრადუს ტემპერატურაზე ცხვება. ამის შემდეგ ის თავსდება მუყაოს კოლოფში და გადაეცემა მყიდველს. მომზადების მთელ პროცესს სულ რაღაც სამი წუთი სჭირდება.

ავტომატი მომხმარებელს ოთხი სახის ყველაზე პოპულარულ პიცას სთავაზობს: „მარგარიტას", „ოთხ ყველს", „ეშმაკსა" და „პანჩეტუს". ავტომატის მიერ მომზადებული პიცის ფასი 4,5-დან 6 ევრომდეა და ეს იმ დროს, როდესაც რომის პიცერიებში მათი საშუალო ფასი ორჯერ მეტია.

აღსანიშნავია, რომ ამავე დროს ეს სიახლე ყველა ადგილობრივ მცხოვრებს არ მოსწონებია. მათი აზრით, პიცამატებმა, შესაძლოა, ადგილობრივი რესტორნების მუშაობა შეაჩერონ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# საქართველოს ფეხბურთელ ქალთა ნაკრები რთულ ჯგუფში მოხვდა



შვეიცარიის ქალაქ ნიონში ფიფას 2023 წლის ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა გაიმართა. ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში დაგეგმილი მსოფლიო ჩემპიონატის 11 საგზურისთვის, ევროპის ზონიდან 51 ნაკრები იბრძოლებს. გუნდები 9 ჯგუფად დაიყო.

საქართველოს ქალთა ეროვნული გუნდი წილისყრის შედეგად ა ჯგუფში მოხვდა: შვედეთი, ფინეთი, ირლანდია, სლოვაკეთი, საქართველო.

ჯგუფის გამარჯვებული ნაკრებები მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს ავტომატურად მიიღებენ. მე-2 ადგილზე გასული 3 საუკეთესო ნაკრები ფლეი ოფის მე-2 რაუნდში ითამაშებს. ფლეი ოფის მე-2 რაუნდის კიდევ ერთი საგზური საკვალიფიკაციო ეტაპზე მეორე ადგილზე გასულ დარჩენილ 6 ნაკრებს შორის გათამაშდება.

საბოლოოდ ფლეი ოფის მე-2 რაუნდში 6 გუნდი ითამაშებს, მათგან 2 გამარჯვებული ფინალური ეტაპის საგზურს მიიღებს, ერთი ნაკრები კი კონფედერაციათა ფლეი ოფში გადაინაცვლებს, სადაც ყველა კონტინენტის 10 ნაკრებს შორის ბოლო 3 საგზურის მფლობელი გამოვლინდება.

ძალიან ჩახლართული სისტემაა...

ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები 2021 წლის 13 სექტემბრიდან 2022 წლის 6 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება.

მსოფლიოს 32 საუკეთესო ნაკრებს ავსტრალია და ახალი ზელანდია 2023 წლის 10 ივლისიდან 20 აგვისტოს ჩათვლით უმასპინძლებენ.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 2. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 3. ნორვეგიელი კომპოზიტორი; 5. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 6. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 9. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ზონა; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატლანტის აეროპორტი; 11. იაპონური რესტორანი; 14. სოფელი წალენჯიხის რაიონში; 16. მოხეტიალე ცირკი; 18. კუნძული მდინარე სენაზე, პარიზის ისტორიული ცენტრი.

**თარაზულად:** 1. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 4. ფრანგული სამხედრო-ვერტმფრენმზიდი გემების სერია; 7. ბრმად თაყვანისცემის უსულო საგანი; 8. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 12. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე; 13. მცდარი მხედველობის აღქმა; 15. ბრგე, ღონიერი, სპორტული აღნაგობის მამაკაცი; 17. ბაშკირეთის დედაქალაქი; 19. ქალაქის თავი გერმანიაში; 20. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 21. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იტალიის ალპებში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ავტობუსი; 2. ფოლორცი; 3. სვანი; 4. ბარცინო; 5. ლაკმუსი; 10. რედერერი; 11. სოციოლოგია; 12. ასანიძე; 15. ტერმინალი; 16. ენესკუ; 17. შეპარდი; 20. მაცნე.

**თარაზულად:** 6. ღვინობისთვე; 7. ფარვანა; 8. ეპილოგი; 9. ჟუდეცი; 13. ბიზე; 14. ლოპესი; 18. ინტერნეტი; 19. ხეპრე; 21. სააბი; 22. ჯუნგლი; 23. სინდიკატი; 24. კლიასერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ზული; 2. ალუვი; 3. ამური; 5. ანდები; 6. კიმიგაიო; 9. ჰელიოგრაფი; 10. ბალახვანი; 11. სეგიდელია; 14. სია; 16. გვრინი; 18. ხადა.

**თარაზულად:** 1. ზადარი; 4. აკაპულკო; 7. სუდოკუ; 8. რუმპელი; 12. ალუჩა; 13. ლესოტო; 15. ნადალი; 17. ბრა; 19. კულტივატორი; 20. სიდრი; 21. ჩაროზი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


3 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.4503

ევრო — 4.1818

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.8076

100 რუსული რუბლი — 4.6439

## ამინდის პროგნოზი 3 მაისისათვის




## შვიდი წლის ბიჭმა თავისი სიმაღლის თევზი დაიჭირა



ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ კამბერლენდ-სიტის მკვიდრი შვიდი წლის ბიჭი პირველად წავიდა სათევზაოდ ახალი ანკესით და თავისი სიმაღლის თევზი დაიჭირა.

შვიდი წლის ოტრი ჰოგანი ძმასთან, მამასთან და პაპასთან ერთად იმყოფებოდა სათევზაოდ და თან ჰქონდა ანკესი, რომელიც საკუთარი დანაზოგით შეიძინა.

თევზაობის დროს ბიჭმა 38-კილოგრამიანი ლოქო დაიჭირა, რომლის წონა სულ მცირედით ჩამორჩა შტატის ამჟამინდელ რეკორდს.

ოტრის მამამ განმარტა, რომ ეს იყო პირველი თევზი, რომელიც ბავშვმა ახალი ანკესით დაიჭირა. ამის შემდეგ ჰოგანმა თევზი გაუშვა. მას კი გაუჩნდა ოცნება დაიჭიროს ყველაზე დიდი ლოქო და შტატის რეკორდი დაამხოს.

## პოლიციელებმა გზაზე გაწოლილი ნიანგი დააპატიმრეს



ამერიკის ტეხასის შტატში დააპატიმრეს ნიანგი და მას თათები შეუკრეს იმის გამო, რომ ის გზის სავალ ნაწილზე იყო გაწოლილი და მოძრაობას კეტავდა. ამის შემდეგ სამართალდამცავებმა გაკოჭილი რეპტილია სატვირთო მანქანაზე მოათავსეს.

თითქმის 2,5 მეტრი სიგრძის ნიანგი გზაზე გამოვიდა და მის გამო გზაზე გრძელი საცობი წარმოიქმნა. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები და ცხოველთა კონტროლის სამსახურის წარმომადგენლები მივიდნენ.

მათ ძირითად მიზანს ნიანგის გზის სავალი ნაწილიდან მოშორება წარმოადგენდა, ისე, რომ მისთვის დაზიანებები არ მიეყენებინათ. თუმცა რეპტილია გზიდან გადასვლას არ აპირებდა და ადგილს არ ტოვებდა. ამის შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ცხოველი წებოვანი ლენტით გაეკოჭათ.

ხუთი თანამშრომელი აკავებდა რეპტილიას, რომელიც მათ დიდ წინააღმდეგობას უწევდა და საბოლოოდ მათ მისთვის წინა და უკანა კიდურების გაკოჭვა მოახერხეს, შემდეგ კი პიკაპის ძარაზე მოათავსეს.

ნიანგი უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს და მდინარის ნაპირთან ბალახიან ადგილზე გაუშვეს.

## ბავშვმა აკვარიუმისთვის თევზი შეუკვეთა და ცოცხალი ნიანგი მიიღო



ჩინეთის პროვინცია შანდუნის დეჩჟოუს ოლქში ბავშვმა ინტერნეტ-მაღაზიაში აკვარიუმის თევზი შეუკვეთა და მის მაგივრად ამანათით უიშვიათესი სახეობის სიამის ნიანგი მიიღო.

როდესაც ბავშვის მამამ ამანათი გახსნა, მასში თევზის ნაცვლად ცოცხალი ნახევარმეტრიანი ნიანგი აღმოაჩინა, რომელიც პენოპლასტის სპეციალურ ფორმაში იყო მოთავსებული. აგრესიული რეპტილიისგან შეშინებულმა მამაკაცმა ამანათი ისევ დახურა და შეფუთა.

ბავშვის მამამ სახიფათო ამანათის შესახებ პოლიციას შეატყობინა. სამართალდამცავებმა რეპტილია ამოიღეს.

ადგილობრივი ზოოპარკის ექსპერტის თქმით, ამანათში მოთავსებული იყო სიამის ნიანგი. აღნიშნული რეპტილიის ასაკი 3-4 თვეა, ხოლო ზრდასრული ნიანგის სიგრძემ შესაძლოა ოთხ მეტრს მიაღწიოს.

ამ სახეობის ნიანგი გადაშენების პირას მყოფ ცხოველად ითვლება. ჩინეთის კანონმდებლობის თანახმად, ამ რეპტილიის ყიდვა და მათი შენახვა მკაცრი სპეციალური ნებართვითაა შესაძლებელი.

კურიერის სამსახურში, რომელმაც აღნიშნული ამანათი ადგილზე მიიტანა, განაცხადეს, რომ კომპანიაში ცხოველების შეკვეთით გადაყვანა აკრძალულია. თუ შემოწმება ამ შემთხვევას დაადასტურებს, კომპანიის განყოფილება, რომელმაც ამანათის მიღება და ადგილზე მიტანა განახორციელა, დაისჯება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

სახლში დაბრუნებული ქმარი ცოლს ეუბნება:

– ხვალ სამსახურში კორპორატიული გვაქვს და სახლში მთვრალი დავბრუნდები.

– მთვრალი კი არა, ნასვამი! – მუქარანარევი ტონით უპასუხა ცოლმა.

– მორჩა, მორჩა, მორჩა, ნასვამი, გავიგე.

– მორჩა ნასვამი კი არა, უბრალოდ ნასვამი!!!

•••

მამაკაცი ნაცნობ ექიმს ურეკავს და ეუბნება:

– ექიმო, დამეხმარეთ, ჩემ ცოლს ბრმანაწლავის შეტევა აქვს!

– დამშვიდდით, ნუ ნერვიულობთ, თქვენ ცოლს ორი წლის წინ გავუკეთე ოპერაცია და ბრმანაწლავი ამოვაჭერი. ადამიანს კი, შეუძლებელია, რომ ორი ბრმანაწლავი ჰქონდეს.

– მართალია, ექიმო, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ კაცმა მეორე ცოლი მოიყვანოს...

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ქალო, ჩვენ ეზოში სპილო გახლართულა ბადეში!

– გეყოფა დედაჩემის დაცინვა! დაეცადე ჰამაკში დასვენება...

•••

მაღაზიაში ცოლი ტანსაცმელს იზომავს და ქმარს გასასინჯი ოთახიდან გამოსძახებს:

– პატარაა!

– კაბა თუ ოთახი?

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება, რატომაა, რომ დღეს ყველა სოციალურ ქსელში ზის?

– იმიტომ, რომ მხოლოდ იქ აქვთ მათ რაღაც სტატუსი მაინც.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნუცა ბუზალაძე ალბანეთის საერთაშორისო ფესტივალის რჩეულია



მომღერალი ნუცა ბუზალაძე ალბანეთის საერთაშორისო ფესტივალში მიშო სულუხიას სიმღერით მონაწილეობს და რჩეულთა შორისაა. იმისთვის, რომ ნუცამ გაიმარჯვოს, მას ფესტივალის ოფიციალურ ვებგვერდზე ხმის მიცემა ესაჭიროება:

– მონაწილეობას ვიღებ პრესტიჟულ ფესტივალზე ალბანეთში. მომეცით ხმა მე და ჩემს სიმღერას. ბოლოში არის გრაფა, აირჩევთ ნუცას და დააჭერთ „ვოტოს“. დღის განმავლობაში რამდენიმეჯერაა ხმის მიცემა შესაძლებელი.

პ.ს. ალბანეთის საერთაშორისო ფესტივალის ფინალი მაისის ბოლოს გაიმართება.

## გიორგი ძოწენიძე: „ეს არის ხალხის დამონება!“



ასე მიაჩნია მომღერალ გიორგი ძოწენიძეს და ბანკების მიერ მომხმარებლებისთვის სესხის გაძვირებას აპროტესტებს:

– სანამ ყველა ერთად არ დავდგებით ამ ნაძირალა ხალხის წინააღმდეგ, იქამდე უფრო და უფრო მძიმედ დაგვასხდებიან თავზე!

იმისთვის, რომ პატარა ზარალიც არ ნახონ, ისევ ამ დაჩაგრული ხალხის ხარჯზე ისევ ჯიბეებს ისქელებენ მილიარდერი ბანკის მმართველები.

იმის მაგივრად, რომ დაეხმარონ ამ გაჭირვებულ ხალხს, პროცენტს უმატებენ ისედაც 200 და 300– პროცენტიან სესხებს, ვითომ 10%– პროცენტიანი რომ არის.

ეს არის ხალხის დამონება და თავზე და.მა, დიდი ბოდიში, მეტი არაფერი ჰქვია ამას!

## ბათუმში გელა წულაძის ნამუშევარი დაამტვრიეს



ბათუმში მხატვარ გელა წულაძის ქანდაკება დაამტვრიეს. ინფორმაცია და ფოტოები ინტერნეტში მიხეილ სააკაშვილმა გაავრცელა:

– შეყვარებული ტურისტის“ მკვლელობის საქმე

„შეყვარებული ტურისტის“ ქანდაკებების სერია მხატვარმა გელა წულაძემ 2009 წელს სპეციალურად ბათუმისთვის მოიფიქრა.

პირველი „შეყვარებული ტურისტი“ ზურგჩანთა გულით ბათუმის შესასვლელთან, გვირაბის თავზე, ბათუმისკენ მიემართება.

საოცრებათა მოედნიდან ტურისტის სიყვარულის ისტორია იწყება და ყველა ტრანსფორმაციაში მეგობრობას, ენერგიას, ოპტიმიზმს, სიხარულსა და სიყვარულს უზიარებს ყველას, ვისი მხედველობის არეალშიც მოხვდება.

ახალი ბულვარის დასაწყისამდე ტურისტი სიყვარულის მშვენიერ ისტორიებს აგროვებს და აქ უკვე ზუსტად იცის, რომ სიყვარული სასწაულია და თვით ყირამალა დგომაც კი ლამაზი და სასიამოვნოა, როდესაც შეყვარებული ხარ – ეს ისტორია „აჭარის სასწაულის“ იდენტური და მომავლის მესიჯია, რომ სიყვარულით ყველაფერი შესაძლებელია.

ქართული ოცნების ხელისუფლებამ „შეყვარებული ტურისტი ყირამალა“ ამ მილებად გადააქცია ეს მისი მმართველობის იდენტური მესიჯია, რომ სიყვარულის ადგილი აქ არ არის.

„შეყვარებული ტურისტი ყირამალა“ აუცილებლად დაბრუნდება მზისა და ზღვის ქალაქში, იმიტომ რომ მისი ადგილი ნამდვილად იქ არის.

## კახი კავსაძე უკანასკნელ გზაზე ტაშით გააცილეს



85 წლის ასაკში გარდაცვლილი მსახიობი კახი კავსაძე უკანასკნელ გზაზე ტაშით გააცილეს. მსახიობთან გამომშვიდობება ნებისმიერ მსურველს რუსთაველის თეატრში შეეძლო. კახი კავსაძის ხსოვნას პატივი მიაგეს მისმა მეგობრებმა, კოლეგებმა, საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა, მთავრობის წევრებმა და რიგითმა მაყურებლებმა. მსახიობი საბურთალოს სასაფლაოზე მეუღლის, ბელა მირიანაშვილის გვერდით დაკრძალეს.

– თუ ჩვენ შევძლებთ, პატივი ვცეთ ერთმანეთს და კიდევ შევძლებთ ერთმანეთის სიყვარულს, აი, მაშინ ნამდვილად გვეშველება! გაუმარჯოს საქართველოს, რომელიც ყოველთვის სიყვარულით ივლის წინ, იმიტომ რომ მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული გააძლებინებს საქართველოს, ამით გადავივლით ყველაფერს, აი, მაშინ იქნება ძლიერი! გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს, რომელიც სიყვარულით მოსიარულე იქნება! – ეს არის კახი კავსაძის სიტყვები, რომელიც თითოეული ქართველისთვის ყველაზე აქტუალურია.

**რეზო ამაშუკელი, პოეტი:**

– რუსთაველის თეატრის შენობა ადამიანივით წაბარბაცდა. ამ დროს კახი კავსაძის სული ანგელოზებმა წაიღეს. საყოველთაო, სახალხო, განუმეორებელი სიყვარული, რომელიც ასე გულწრფელად აჩუქა ქართველმა მაყურებელმა. ეს არის ის იშვიათი შემთხვევა, რომელიც ქართველმა ხალხმა არგუნა რამდენიმე დიდ მსახიობს. კახი კავსაძემ ყველაფერი მისცა თეატრს, თეატრიც უბრუნებს მას დიდ აღიარებასა და სიყვარულს. მშვიდობით!

**გიორგი კუხალაშვილი, მხატვარი:**

– სახელოსნოში ზუსტად დათქმულ დროს მოვიდა სოლიდურად ჩაცმული კახი. სულ თეატრზე ლაპარაკობდა: „თეატრი არის ის ინსტიტუტი, რომელიც განსაზღვრავს ერის სულიერ მდგომარეობას დღეს!“ – ამ ფრაზას ხშირად იმეორებდა. ეს ადამიანი ნათელი მაგალითი იყო იმისა, რომ რაც უფრო ნიჭიერია ადამიანი, მით უფრო უბრალოა ის. ბატონო კახი, გემშვიდობებათ მთელი საქართველო გულწრფელი სიყვარულით აღსავსე გულებით!

**გია ბაღაშვილი, მუსიკოსი:**

– ამდენი ხანია ვფიქრობ, რა ვთქვა მასზე და ენა არ მიბრუნდება. ყოველი სიტყვა ყალბია იმ გულის ჩაწყვეტასთან, სიცარიელესთან და ტკივილთან, რასაც ახლა განვიცდი. განა არ

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ასტროპროგნოზი

### 3 მაისისათვის



**ვერძი** – მრავალი პრობლემა დაგიგროვდათ. მათ დროულად მოგვარებას ნუ დააყოვნებთ. დაწყებული საქმე უთუოდ დღესვე დაამთავრეთ. **კურო** – სითამამე და გამბედაობა დღის დევიზია. იზრუნეთ სულიერ სრულყოფაზე. **ტყუპები** – პოზიტიური დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – ოჯახის წევრებთან მეტი დრო გაატარეთ. აქტიური დასვენება დღეს დადებით შედეგს გამოიღებს. **ლომი** – შემოქმედებით სფეროში იაქტიურეთ. ახალი მოკავშირეები სულიერი ჰარმონიის შექმნაში დაგეხმარებიან. **ქალწული** – ბედი გწყალობთ. ძალზე იღბლიანი დღეა. ნებისმიერ საქმეში წარმატებას ელოდეთ. **სასწორი** – თავს ბედნიერად და ლაღად გრძნობთ. ყოველი წვრილმანი სიხარულს განიჭებთ. **ღრიანკალი** – პირად ცხოვრებაში ყველაფერი კარგად გაქვთ. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას სპონტანურად ნუ მიიღებთ. **მშვილდოსანი** – ხვალინდელ დღეზე დღესვე იზრუნეთ. მომავალი თამამად დაგეგმეთ. ფინანსებს არ უჩივით. **თხის რქა** – სულიერი და ფიზიკური ძალები გემატებათ. სახლში დიდხანს ნუ დარჩებით. **მერწყული** – მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. საქმიან სფეროში ახალი შესაძლებლობები გამოგიჩნდებათ. **თევზები** – შანსი გეძლევათ, ხელსაყრელი გარიგება გააფორმოთ. ოპტიმიზმი და მელანქოლია ერთმანეთს ენაცვლება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 2. ყურძნის შაქარი; 3. ნაქსოვი ფეხსამოსი; 4. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 5. ტბა აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვარზე; 10. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 11. ესპანელი მწერალი; 12. ძაღლის პირსაკრავი; 15. მრავალხმიანობა მუსიკაში; 16. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და სამხრეთ ამერიკაში; 17. აშშ-ის ჯორჯიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი; 20. აზერბაიჯანული ნაციონალური კერძი.

**თარაზულად:** 6. განდიდების მანია; 7. საქართველოს ეკონომიკის მინისტრი; 8. უდაბნო ჩილეში; 9. აეროპორტი კაიროში; 13. პატარა რესტორანი; 14. სვან მამაკაცთა ცეკვა; 18. წყალქვეშ სასუნთქი აპარატი; 19. დიპლომატიური წარმომადგენელი; 21. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური ბურთი; 22. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 23. ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი კასპის რაიონში; 24. მეცნიერული ნაშრომი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

